ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

ხუთშაბათი, 1 დეკემბერი, 2011 №285 (5665) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+ „ტირანები“
10 ლარი
30 ნოემბრიდან



# სკანდალი „მაესტროში“



## ეროსი კიწმარიშვილი:
„მაესტროში“ დაპირისპირების მიზეზი ფულია“

გვ. 3

## მამუკა ღლონტი:
„კიწმარიშვილს ჩემი მოხსნის უფლება არ აქვს“



## ბიძინა ივანიშვილი „მაესტროს“ ჟურნალისტებს სოლიდარობას უცხადებს

გვ. 2



## სოზარ სუბარი ბიძინა ივანიშვილთან გადადის

გვ. 4

## ოსური ოპოზიცია მთავრობის შენობაში შეიჭრა

კოკოითი მოსაფიქრებლად ვადას ითხოვს



გვ. 2



## ლორთქიფანიძემ უმცირესობა ამხილა

გვ. 6

გვ. 7



## საქართველოში ბევრი პოლიტპატიმარია

## ირაკლი ოქრუაშვილი: „სოზარ სუბარი კოტე გოგელიას ჯიბეს ჩამოეკიდა“



გვ. 4

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: „სააკაშვილის ერთადერთ მტრად ბეჭდური მედია რჩება“

გვ. 6

„ახალი თაობა“+ „ბითლზი“
8 ლარი
23 ნოემბრიდან

ISSN 1987-9385

6 თქვენს შვილს სკოლიდან ისე გარიცხავენ, არც გაგაფრთხილებენ!

5 რომელი დეპუტატები ზარმაცობენ „ფეისბუქში“ და პირადი გვერდები ფორმალურად აქვთ გახსნილი

2 სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას კონფერენცია მიეძღვნა

2 სასამართლომ შეყვარებულის მკვლელობისთვის ბრალდებული გაასამართლა

# ოსური ოპოზიცია მთავრობის შენობაში შეიჭრა

## კოკოითი მოსაფიქრებლად ვადას ითხოვს



თეა მარხვაიძე

**გუშინ ცხინვალში მოვლენები დრამატულად განვითარდა, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული ალა ჯიოევა თანმხლებ პირებთან ერთად მთავრობის სახლში შეიჭრა და კოკოითის გადადგომა მოსთხოვა. ალყაშემორტყმულმა კოკოითიმ მოსაფიქრებლად ვადა ითხოვა. სახელისუფლებო მედიის ცნობით კი, კოკოითი დათმობაზე წასვლას არ აპირებს.**

**არეულობა ქალაქში დილიდან დაიწყო. ალა ჯიოევამ მომხრეებს 29 ნოემბერს დაშლისკენ მოუწოდა. მან ხალხს უთხრა, რომ სამოქმედო გეგმას 30 ნოემბერს გამოაცხადებდა.**

30 ნოემბერს მან სამოქმედო გეგმა კი არ გამოაცხადა, არამედ მოქმედებებზეც გადავიდა. ვერ გეტყვით, რომ ის ჩვენი ეროსი კიწმარიშვილივით გადაძვრა ღობეზე, მაგრამ ფაქტია, რომ მთავრობის სახლში შეიჭრა. თანაც იმ დროს, როცა შენობა ძალოვანების მიერ იყო ალყაშემორტყმული.

ოსურმა ძალოვანმა სტრუქტურებმაც დილიდან დაიწყეს აქტიურობა. უშიშროების სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომ ისინი აქციის მოწყობაში ხელს არავის შეუშლიდნენ თუკი აქცია მშვიდობიანი იქნებოდა.

ალა ჯიოევას ქმედებები დილიდანვე არამშვიდობიანად გამოიყურებოდა. ამის გამო მთავრობის სახლი ძალოვანებმა ალყაში მოაქციეს. მთავრობის სახლს ნიღბიანი და ავტომატიანი პირები იცავდნენ.

ამბოხებულმა ალამ სახელმწიფო საბჭო შექმნა, რომლის შემადგენლობაში გენერალი ანატოლი ბარანკევიჩიც შეიყვანა.

სახელმწიფო საბჭოს შექმნის შემდეგ მან მიმართვები გაავრცელა და ცხინვალში მდებარე რუსეთის საელჩოში შეხვედრა გამართა.

ალა ჯიოევამ რუსეთს მოუწოდა, სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მისი გამარჯვება აღიაროს. როგორც „რია ნოვოსტი“ იუწყება, ეს განცხადება ჯიოევამ ცხინვალში რუსეთის საელჩოში შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

საელჩოს წარმომადგენლებს ჯიოევამ და მისმა მხარდამჭერმა, გენერალმა ანატოლი ბარანკევიჩმა რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია.

ალა ჯიოევას ინფორმაციით, ისინი ე.წ. საელჩოს პირველ მდივანს ოლეგ ლოგინოვს შეხვდნენ, საკუთარი პოზიცია გააცნეს და არჩევნების შედეგების აღიარებისკენ მოუწოდეს.

— სერიოზული საუბარი გვქონდა. ვთხოვეთ, არჩევანის კანონიერი უფლების დაცვაში დაგვეხმარონ. დაგვპირდნენ, რომ მოთხოვნებს რუსეთის უმაღლეს ხელმძღვანელობას გადასცემენ, — განაცხადა ჯიოევამ.

საელჩოს შენობასთან მას 700-მდე მომხრე ელოდებოდა. ისინი ცხინვალის ცენტრალური მოედნისკენ გაემართნენ, სადაც დე-ფაქტო ცენტრალური საარჩევნო კომისია მდებარეობს.

საელჩოში შესვლამდე გამარჯვებულმა კანდიდატმა ალა ჯიოევამ დასახმარებლად საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართა. ჯიოევა მოქმედი დე-ფაქტო ხელისუფლების წევრებს საშიშ ადამიანებს უწოდებს და აცხადებს, რომ ეს ადამიანები მზად არიან, მთელი ხალხი სისხლში ჩაახრჩონ.

— ამიტომ დღეს ჩვენ მივმართავთ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს და პრემიერს ვლადიმერ პუტინს თხოვნით, აღკვეთონ ამ ადამიანების უკანონო და ანტიკონსტიტუციური ქმედებები. თუ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ვერანაირ რეალურ მხარდაჭერას ვერ მივიღებთ, მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას მივმართავთ, — განაცხადა ჯიოევამ.

საელჩოდან ჯიოევა და მისი მომხრეები ცხინვალის ცენტრისკენ წავიდნენ, სადაც ასეულობით ადამიანი იყო თავმოყრილი. ისინი „ალა, ალას“ და „სირცხვილიას“ სკანდირებდნენ.

მთავრობის სახლთან მისვლის შემდეგ მათ შენობის შტურმით აღება სცადეს, რასაც სროლა მოჰყვა. სამთავრობო დაცვის თანამშრომლებმა ავტომატური იარაღიდან ჰაერში ისროლეს.

ამის შემდეგ ვითარება რამდენიმე წუთით განიმუხტა, მაგრამ ძალიან მალე ხალხი ახალ იერიშზე გადავიდა.

ამ შტურმის დროს ალა ჯიოევამ გენერალ ბარანკევიჩთან ერთად შენობაში შეღწევა შეძლო. მათთან ერთად კიდევ რამდენიმე პიროვნება იმყოფებოდა. ცნობისათვის, ცესკო იმავე შენობაშია განთავსებული, რომელშიც მთავრობაც ზის.

ცესკოს თანამშრომლებისგან შეჭრილებმა იმ ოქმის ასლი მოითხოვეს, რომლითაც დგინდება, რომ არჩევნები ალა ჯიოევამ მოიგო.

წივილ-კივილის შემდეგ მათ ასლი მოიპოვეს. ამის მიუხედავად, შენობის დატოვებაზე უარი განაცხადეს.

შენობიდან მხოლოდ ანატოლი ბარანკევიჩი გამოვიდა, ისიც იმიტომ, რომ ხალხისთვის შედეგები გაეცნო.

— მე ხელთ მიკავია დოკუმენტი, რომლითაც მტკიცდება, რომ არჩევნები ალა ჯიოევამ მოიგო, — მიმართა რამდენიმე ათას ადამიანს გენერალმა.

ამ სიტყვებმა ხალხის აღფრთოვანება გამოიწვია. ვილაცეებმა ისევ სცადეს შტურმი. ამას ისევ სროლა მოჰყვა. ისევ ჰაერში ისროლეს.

შენობაში დარჩენილი ჯიოევა კი იმ ფლიგელისკენ გაემართა, სადაც კოკოითი გარემოცვასთან ერთად იმყოფებოდა.

მათ შორის მოლაპარაკებამ კარგა ხანს გასტანა. სააგენტო „რეგნუმის“ ცნობით, პრეზიდენტობის გამარჯვებული კანდიდატი ალა ჯიოევა მოქმედ დე-ფაქტო პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის უსაფრთხოების გარანტიას აძლევს. ამის შესახებ „რეგნუმი“ იუწყება.

როგორც შეხვედრის შემდეგ ჯიოევამ განაცხადა, მოქმედი პრეზიდენტისგან უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ცენტრალური საარჩევნო კომისიის პროტოკოლის გამოქვეყნება მოითხოვა.

გამარჯვებულმა კანდიდატმა ასევე აღნიშნა, რომ კოკოითის მისი და მისი ოჯახის უსაფრთხოების გარანტია მისცა. ჯიოევასვე ინფორმაციით, კოკოითიმ მოსაფიქრებლად ორი დღე ითხოვა, თუმცა, მისი განცხადებით, ამდენი დრო არ აქვს. ჯიოევა მოითხოვს, რომ კოკოითიმ გადაწყვეტილება დღის ბოლომდე მიიღოს.

აბსოლუტურად განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს სახელისუფლო მედია. მათი თქმით, კოკოითი დათმობაზე წასვლას არ აპირებს.

დათმობაზე წასვლას, როგორც ჩანს, არც ძალოვანები აპირებენ. აქციის მონაწილეებს „ომონის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა უთხრა, რომ მათ ხალხისთვის ცეცხლის გახსნის ბრძანება მისცეს, თუკი ისინი ისევ წავიდოდნენ შტურმზე.

ამ ინფორმაციამ აქციის მონაწილეები ვერ შეაშინა. ისინი დარწმუნებული არიან, რომ სამართალდამცავები ხალხს არ ესვრიან.

რამდენიმე დღის წინ ჯიოევას რესპუბლიკის შს მინისტრი ვალერი ვალიევი შეხვდა, რომელმაც პირობა დადო, რომ ხალხის წინააღმდეგ არ წავა.

რუსულ გამოცემა „კომერსანტთან“ საუბარში ჯიოევამ თქვა, რომ ძალოვანების დიდი ნაწილი მათ მხარეზეა გადასული.

ხალხის დასაშოშმინებლად გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ცხინვალში რუსეთიდან ჩადის ჯგუფი. რომელმაც ვითარება უნდა დაარეგულიროს. ამაზე ოპოზიციამ თქვა, რომ ისინი არავისთან არ აპირებენ მოლაპარაკებას და თავის უფლებას თავად დაიცავდნენ.

საინტერესო განცხადება გააკეთა ანატოლი ბიბილოვმაც. მან თქვა, რომ მომდევნო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. მას ისეთ არჩევნებში არ სურს მონაწილეობა, რომელიც ერს გახლეჩს.

მოგვიანებით მან სხვა განცხადებაც გაავრცელა. ბიბილოვმა თქვა, რომ ის არც აქციებს მოაწყობს და აქციებში მონაწილეობას თავის მომხრეებსაც უკრძალავს.

ცხინვალში მთელი დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ცნობები, რომ იქ ჩრდილოეთ ოსეთიდან აპირებს ხალხი ჩასვლას. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ხელისუფლება ხალხის წინააღმდეგ ძალას გამოიყენებს.

დღის ბოლოს ჯიოევამ უზენაესი სასამართლოდან წინადადება მიიღო. მას განაჩენის გასაჩივრება შესთავაზეს. რაზეც ჯიოევამ უარი განაცხადა. ის თავს უკვე პრეზიდენტად თვლის.

# ბიძინა ივანიშვილი „მაესტროს“ ჟურნალისტებს სოლიდარობას უცხადებს

ბიძინა ივანიშვილი ტელეკომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტებს სოლიდარობას უცხადებს და მიიჩნევს, რომ ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლა დაუშვებელია .

— დღეს საქართველოში დამოუკიდებელ მედიას არსებობისთვის ისედაც შეზღუდული პირობები გააჩნია და მათი პროფესიული საქმიანობის შეზღუდვა კიდევ უფრო დაამძიმებს არსებულ ფონს. მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ტელეკომპანიის მაუწყებლობა ჩვეულ რეჟიმს უნდა დაუბრუნდეს, დაუყონებლივ მიეცეს ჟურნალისტებს მუშაობის გაგრძელების საშუალება, ხოლო სადავო საკითხი ცივილიზებული გზით გადაწყდეს, — ნათქვამია ბიზნესმენის პრესსამდივნის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ტელეკომპანია „მაესტროს“ შენობაში დილიდან ეროსი კიწმარიშვილი რამდენიმე პირთან ერთად შევიდა. თანამშრომლებს მუშაობის დაწყების საშუალებას არ ჰქონდათ. გათიშული იყო ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერიც. მოგვიანებით, ტელეკომპანია ეთერში მამუკა ღლონტის განცხადებით გავიდა. „მაესტრო“ ამ დროისთვის პირდაპირ ეთერში მაუწყებლობს. მაუწყებლობა ჟურნალისტთა და ტექნიკური პერსონალის ნაწილის საშუალებით ხორციელდება, რომლებმაც შენობაში შესვლა მოახერხეს.

„მაესტროს“ შენობაში იმყოფება „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი და „მაესტროს“ მმართველის კომპანიის მფობელი ეროსი კიწმარიშვილი, რომელიც მამუკა ღლონტს შენობის დატოვებისკენ მოუწოდებს.

ამასთან, ეროსი კიწმარიშვილმა თანამდებობიდან გაათავისუფლა მთავარი პროდიუსერი მამუკა ღლონტი, გენერალური დირექტორი ილია კიკაბიძე, რომლებიც ამავდროულად არხის დამფუძნებლები არიან.

**ინტერპრესნიუსი**

# რუსეთის საგარეო უწყება ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება და აცხადებს, რომ ისინი ყურადღებით აკვირდებიან მეზობელ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.

,,დაინტერესებულები ვართ, რომ ამ ახალგაზრდა რესპუბლიკაში შენარჩუნებული იყოს სიმშვიდე და სტაბილური მდგომარეობა, პოლიტიკური პროცესები კი მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივ ველში უნდა განვითარდეს. ამისათვის აუცილებელია, ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ძალებმა, პატივი სცენ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ კანონის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს“— აღნიშნულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

რუსეთის საგარეო უწყების განცხადებით, 27 ნოემბრის მეორე ტურის შედეგები დარღვევების გამო აღძრული სარჩელის შემდეგ გაუქმნდა და ახალი საპრეზიდენტო არჩევნები 2012 წლის 25 მარტისთვის დაინიშნა.

შეგახსენებთ, რომ გუშინ ე.წ. სამხრეთ ოსეთის უზენაესმა სასამართლომ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები, ალა ჯიოევას და მისი მომხრეების მიერ ჩადენილი დარღვევების გამო, ბათილად ცნო.

ახალი დე-ფაქტო სამრეზიდენტო არჩევნები ე.წ. სამხრეთ ოსეთში 2012 წლის 25 მარტს გაიმართება.

**მედიანიუსი**

# სასამართლომ შეყვარებულის მკვლელობისთვის ბრალდებული გაასამართლა

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 28 ნოემბრის განაჩენით, 14-წლიანი საპატიმრო მსჯავრი საყვარელი ქალის მკვლელობისთვის ბრალდებულს დაედო. დანაშაულებრივი ფაქტი 2011 წლის 19 სექტემბერს მოხდა. საჩხერის რაიონის სოფელ ლოდორაში მცხოვრებ ფრიდონ ტალახაძეს თანასოფლელ გ. ტ-ს მოკვლის განზრახვა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც შეიტყო, რომ იგი სხვა მამაკაცთან დაქორწინებას აპირებდა. ბრალდებული მსხვერპლს სოფლების -ლონდორასა და ლიჩის დამაკავშირებელ გზაზე ჩაუსაფრდა, სადაც მეზობელ სოფელში პედაგოგად მომუშავე გ. ტ-ს უნდა გაევლო. ტალახაძემ ქალს ჯერ სცემა, შემდეგ კი იქვე გამავალ მდინარე ლოდორულაში დაახრჩო. ამ დანაშაულის ჩადენის შემდეგ მკვლელი მიიმალა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები და ფრიდონ ტალახაძე მასზედ შერაცხულ განზრახ მკვლელობის ბრალში დამნაშავედ ცნო. სასამართლოს განაჩენით მას 14 წლით პატიმრობა მიესაჯა.



# სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას კონფერენცია მიეძღვნა

2011 წლის 29 ნოემბერს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ კონფერენცია გახსნა.

კონფერენცია საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის მხარდაჭერით გაიმართა.

კონფერენცია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო პროგრამის შექმნასა და ამ გადაწყვეტილებების პრაქტიკაში გამოყენებას მიეძღვნა.

მსგავსი თემატიკის განხილვას სასამართლო ხელისუფლების მხრიდან უკვე რამდენიმე ოფიციალური შეხვედრა მიეძღვნა. აღნიშნულ კონფერენციაზე გამომსვლელებმა სასამართლო გადაწყვეტილებების სამეცნიერო წრეებისთვის, პრაქტიკოსი იურისტებისთვის და საზოგადოების ფართო ფენებისთვის ხელმისაწვდომობის საკითხები განიხილეს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სკანდალი „მაესტროში“

ნათია ხურცილავა

**ტელეკომპანია „მაესტროში“ განვითარებული მოვლენების გამო ტელეკომპანიისა და რადიო „მაესტროს“ მაუწყებლობა დროებით შეჩერდა. როგორც ტელეკომპანიის თანამშრომლებმა განაცხადეს, დილით ეროსი კიწმარიშვილი რამდენიმე თანმხლებ პირთან ერთად ტელეკომპანიის ოფისის ლობეზე გადავიდა და მაუწყებლობას მუშაობის საშუალება არ მისცა.**



მამუკა ღლონტი

მაუწყებლობის ოფისთან იმყოფებოდა საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი, რომლებიც „მაესტროს“ თანამშრომლებს ოფისში არ უშვებდნენ. თუმცა, მოგვიანებით შენობაში ყველა თანამშრომელი შეუშვეს.

„მაესტროს“ თანამშრომლების განცხადებით, თუ ეროსი კიწმარიშვილი თანმხლებ პირებთან ერთად ტელეკომპანიის შენობას არ დატოვებს, მაუწყებლობა ვერ გაგრძელდება. აღნიშნული განცხადება, ტელეკომპანია „მაესტროს“ თანამშრომლებმა გაავრცელეს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ „მაესტროს“ თანამშრომლებისთვის მიუღებელია ნებისმიერი თანამშრომლის, მათ შორის გენერალური დირექტორის ილია კიკაბიძის, მთავარი პროდიუსერის მამუკა ღლონტის, ასევე ლევან ჩიკვაიძისა და დაცვის სამი თანამშრომლის თანამდებობიდან გათავისუფლება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ კატეგორიულად არ ეთანხმებიან იმ ფორმას, რომელიც ეროსი კიწარიშვილმა ტელეკომპანია „მაესტროს“ მიმართ გამოიყენა. „მაესტროს“ თანამშრომლების თქმით, დღემდე ამაყობდნენ სარედაქციო დამოუკიდებლობით და აქვთ სურვილი, რომ მომავალშიც დამოუკიდებლად იმუშაონ და სარედაქციო საკითხებში არ ერეოდნენ პირები, რომლებსაც რაიმე ფორმით მათ მუშაობაში ხელის შეშლა შეეძლებათ. მოგვიანებით, ტელეკომპანიაში შესვლა მოახერხა მამუკა ღლონტმა და ტელევიზიამ მაუწყებლობა განაახლა. ტელეკომპანიის ოფისში ასევე იმყოფებოდა ეროსი კიწმარიშვილი, რომელიც ოფისში შესულ მამუკა ღლონტს შენობის დატოვებისკენ მოუწოდებდა. თუმცა სანამ ღლონტი ტელეკომპანიაში შესვლას მოახერხებდა, მოვლენები ასე ვითარდებოდა:

– ვიღაც უცნობი პირები არ მაძლევენ საშუალებას, რომ „მაესტროში“ შევიდე. ვინ არიან ეს ადამიანები? ვისი დაცვის თანამშრომლები ხართ? რატომ არ მაძლევთ საშუალებას, რომ შემოვიდე? კარი გააღეთ? მინდა დაფიქსირდეს, რომ მაესტროში ვიღაც უცხო პირები არ გვიშვებენ. ამ კითხვებით მიმართავდა ღლონტი კიწმარიშვილის დაცვის თანამშრომლებს.

მამუკა ღლონტმა „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებული მოვლენებს „იმედი–2“ უწოდა.

## მამუკა ღლონტი: „კიწმარიშვილს ჩემი მოხსნის უფლება არ აქვს“

**მამუკა ღლონტი:**

– დილით ეროსი კიწმარიშვილი შეიჭრა „მაესტროს“ შენობაში 10 უცნობ პირთან ერთად ძალადობრივად დაიკავა შენობა. საბედნიეროდ, ისინი არ დაემორჩილნენ მას. ჩვენმა თანამშრომელმა, რომელიც მორიგე იყო, პატრულს გამოუძახა, ახლა შიგნით არის პატრულიც და ეროსი კიწმარიშვილიც და არ გვაძლევენ საშუალებას, რომ განავხორციელოთ ჩვენი პირდაპირი მოვალეობა. დირექციასთან შეუთანხმებლად დანიშნა თათბირი, რაც ალკვეთა გენერალურმა დირექტორმა. ახლა აცხადებს, რომ მოხსნა გენერალური დირექტორი და მეც, მაგრამ ვერ გავიგე, მე საიდან მომხსნა. რისი უფლებაც მას არ აქვს. ეროსი კიწმარიშვილმა, როგორც პრესას განუცხადა, თანამდებობიდან გაათავისუფლა მთავარი პროდიუსერი მამუკა ღლონტი, გენერალური დირექტორი ილია კიკაბიძე, რომლებიც ამავდროულად არხის დამფუძნებლები არიან.

– მართვის კომპანიამ ილია კიკაბიძე გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლა, რომელიც ჩვენ მიერ იყო დანიშნული. მის მიმართ არსებული ძალიან ბევრი პრეტენზიის საფუძველზე. „მაესტროში“ შემოსვლის დროს, რომ ჩვეულებრივ ჩემი უფლებები განმეხორციელებინა წინააღმდეგობა გაგვიწია მაესტროს ერთ-ერთმა თანადამფუძნებელმა ლევან ჩიკვაიძემ, რომელმაც საპატრულო პოლიცია გამოიძახა, უფრო ზუსტად კი გამოძახება გააკეთა ილია კიკაბიძემ, რომელიც არ იმყოფებოდა აქ. მათი კვალიფიკაცია იყო, რომ მაესტროზე თავდასხმაა. მე და ჩემს დაცვის თანამშრომლებს არ მოგვეცა საშუალება, რომ პირდაპირ შემოვსულვიყავით და ამიტომ ლობიდან გადმოვედით. ეს ნაბიჯი გადავდგი იმიტომ, რომ ჩვენი საქმიანობა განგვეხორციელებინა, – განაცხად ეროსი კიწმარიშვილმა.



ეროსი კიწმარიშვილის განცხადებით ხელშეკრულების თანახმად, მას „მაესტროს“ მართვის უფლება 2012 წლის დეკემბრამდე აქვს. ამდენად, ის აცახდებს, რომ თავად აპირებს მართვის განხორციელებას.

**ეროსი კიწმარიშვილი:**

– მე აქედან გავალ 2012 წლის 1 დეკემბერს. ჩემი მხრიდან ტელეკომპანიის განვითარებისთვის მოზიდულ იქნა სახსრები, 4 მილიონ-ნახევარი დოლარი. შესაბამისად ჩემი წვლილი, რომ დღეს არსებობს ეს ტელევიზია გადამწყვეტია. დამფუძნებლებმა მოზიდული თანხები თავიანთ ინტერესებში გამოიყენეს. ჩემი პრეტენზიები უკავშირდება უკანონო მოქმედებას, რომელსაც დამფუძნებლების სახელით გარკვეული პირები ახორციელებენ. მოვითხოვ, პოლიტიკური სპეკულაცია შეწყვიტონ.

***– რა გახდა თქვენ შორის დაპირისპირების მიზეზი?***

– ფული, ფული. ეს შეიძლება იყოს ივანიშვილის, გოგელიას, რაღაც სხვა მოლოდინები, რომელიც ამ ადამიანებს გაუჩნდათ. მე მაქვს ერთი მილიონი დოლარის პრეტენზია, რომელიც გაურკვევლია, როგორ დაიხარჯა.

განცხადება „მაესტროს“ წარმომადგენელმა **მაგდა გახარიამ** გააკეთა:

– ჩვენ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავთ ეროსი კიწმარიშვილის წინააღმდეგ, – განაცხადა გახარიამ.

კითხვაზე „მაესტრო“ მიიღებს თუ არა ივანიშვილის დაფინანსებას, ის ამბობს, რომ დაფინანსებას სააკაშვილისგანაც მიიღებენ, თუ ის სარედაქციო დამოუკიდებლობაში არ ჩაერევა.

საპატრულო პოლიციის წარმომადგენელმა, ტელეკომპანიასთან პატრულის ყოფნის მიზეზებზე ისაუბრა.

– აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში შემოვიდა შეტყობინება ტელეკომპანია „მაესტროდან“, აქედან გამომდინარე ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის შესაბამისი სამსახური. ჩვენი აქ ყოფნის ერთადერთ მიზანს წარმოადგენს ის, რომ მხარეებს შორის არ მოხდეს კონფლიქტი. ფიზიკური დაპირისპირება და სიტუაციის დაძაბვა, – გვითხრა საპატრულო პოლიციის წარმომადგენელმა გიორგი გასიტაშვილმა.

ჟურნალისტ **ნინო ზურიაშვილის** განცხადებით:

– ეს არის ჩვეულებრივი ხელშეკრულება, რომელიც გაწყვეტას ექვემდებარება. თუ თვლის ბატონი კიწმარიშვილი, რომ მისი უფლება დაირღვა და შეილახა მისი კომპანიის ინტერესები, სასამართლოში წავიდეს და იქ იდავოს. შევარდნა და ოკუპაცია სადაური წესია? ვიცი, რომ ქართულია მაგრამ მან დღეს ყველაფერს გადააჭარბა. აქამდე ამას მხოლოდ ხელისუფლება აკეთებდა. ახლა ეროსისგან ამის გაკეთება არ ვიცი რას ნიშნავს. – გვითხრა ნინო ზურიაშვილმა.

ტელეკომპანიასთან მოგვიანებით პოლიტიკოსებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე კომენტარები გააკეთეს.

**ეკა ბესელია:**

– ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის პირდაპირ ეთერთან არის კავშირში, რომელიც შედგა „მაესტროს“ ეთერში. პირდაპირი ეთერი ერთი დღით ადრე არ დაგეგმილა, რამდენიმე დღის წინ დაიგეგმა. შესაბამისად ბოლო დღეებში ვრცელდებოდა ინფორმაცია ბატონი კიწმარიშვილის მიერ გაუგებარ ქმედებებთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი ხელისუფლების ინტერესებში შედის. ამიტონ ნებსით თუ უნებლიეთ, ამიტომ ბატონი კიწმარიშვილი კარგად ხვდება, რომ მისი მოქმედებით არა მხოლიდ ტელეკომპანიას ადგება ზიანი, არა მხოლოდ ჟურნალისტებისთვის ხდება ხელის შეშლა, არამედ ხელისუფლება კარგად სარგებლობს ამ მომენტით. პატრული გამოიძახა დაცვამ, მაგრამ პატრული არ ასრულებს არც შენობის დაცვას, არც დამფუძნებლებს უშვებს და არც ჟურნალისტებს. ახლა პატრული, რომელიც არაფერზე არ რეაგირებს, როგორც ჩანს, ხელისუფლების კონკრეტული დავალებით არის ალჭურვილი. დავალებაა, რომ ტელევიზიაში ჟურნალისტები არ შეუშვან, დამფუძნებლები არ შეუშვან და ხელი შეუშალონ ჟურნალისტების საქმიანობას. უცნაურია, ის ვინც კანონს უნდა იცავდეს, კანონს არღვევს. კიწმარიშვილი, ნებსით თუ უნებლიეთ მისი როლით ის უკავშირდება იმ ინტერესს, რომელიც ხელისუფლებას შეიძლება ჰქონდეს მაესტროს შეჩერებასთან დაკავშირებით. ის ამ როლში ტავისი სურვილით არის თუ უნებლიეთ აღმოჩნდა, არ ვიცი, რადგან არ მაქვს ყველა ინფორმაცია. ფაქტია, რომ მისი მოქმედება არ არის კანონიერი და არ არის სწორი.



## ეროსი კიწმარიშვილი: „მაესტროში“ დაპირისპირების მიზეზი ფულია“

**ირაკლი სესიაშვილი:**

– ეს არის სპეცოპერაცია. 2007 წლის 7 ნოემბრისაგან განსხვავებით, როდესაც „იმედში“ შეიჭრნენ, ახლა ნიღბების გარეშე მოვიდნენ ადამიანები. ამ სპეცრაზმის ხელმძღვანელი არის ეროსი კიწმარიშვილი, ის მუშაობს ნებისმიერ ჯგუფზე, რომელიც მას ფულს გადაუხდის. ჯერ კიდევ გუშინ უნდოდა ამ სპეცოპერეციის ჩატარება ეროსი კიწმარიშვილს, რომ ბიძინა ივანიშვილის პირდაპირი ეთერისთვის ხელი შეეშალა. საქმე გვაქვს უკანონობასთან, ერთი ჟურნალისტებისთვის ხელის შეშლა, რაც კანონმდებლობით დასჯადია. მეორე ტერიტორიის უკანონო დაკავება ხდება. მესამე, ის ადამიანები, რომლებიც შიგნით არიან, თავისუფლებააღკვეთილები არიან. ეს არის პოლიტიკური აქტი. ძალიან მნიშვნელოვანია დასავლეთის, დემოკრატიული სამყაროს გამოხმაურება. მიხეილ სააკაშვილი „მაესტროს“ დახურვაზე ოცნებობს. კიწმარიშვილის მეშვეობით არ არის გამორიცხული, რომ ფინანსურ დარღვევებზე ისაუბრონ, ყადაღა დაადან. თუ დასავლეთი ამაზე თვალს დახუჭავს, ამორალური იქნება მათი მხრიდან დემოკრატიაზე საუბარი. ეს ფაქტი მიანიშნებს სააკაშვილის აგონიურ მდგომარეობაზე. არც კი იციან, როგორ იმოქმედონ.

**გუბაზ სანიკიძე:**

– არაჯანსაღი სიტუაციაა, ეს ფაქტია. ამ ყველაფერს „იმედის“ ბედის სუნი უდის. ეს რაღაცის პროვოცირებას უკეთებს ხელისუფლებას. ამის დიდი ეჭვი მაქვს. არ არის გამორიცხული, რომ იგივე განმეორდეს და „მაესტროს“ ძალიან დიდი პრობლემები შეუქმნან. „მაესტრო“ ძალიან არ მოსწონს ხელისუფლებას.

**ვიქტორ დოლიძე:**

– ეს არის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი თუ როგორია ხელისუფლების პოლიტიკა თავისუფალ მედიასთან დაკავშირებით. რადგან პატრული არ უშვებს „მაესტროს“ თანამშრომლებს შიგნით. სამწუხაროდ, ეროსი კიწმარიშვილი არის არა ბრმა იარაღი, არამედ აბსოლუტურად ღია იარაღი ხელისუფლების მხრიდან, რომელიც გამოყენებულ იქნა. ნებისმიერი დავა, მიუხედავად იმისა, ვინ არის მართალი ასეთი მეთოდებით არ უნდა წყდებოდეს.

# ივანიშვილს „მაესტროს“ ყიდვა 2009 წელსაც უნდოდა

შალვა ჯოხაძე

**„ქართული პარტიის“ ლიდერმა ეროსი კიწმარიშვილმა ტელეკომპანია „მაესტროს“ ეზოში, იმ საშინელი აურზაურისას, დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მის მიერ დაფუძნებულმა ფონდმა „2020“–მა 2009 წელს ბიძინა ივანიშვილის ფონდისგან 564.450 ლარი ნამდვილად მიიღო. მოკლედ, ეროსი კიწმარიშვილი არ უარყოფს, რომ ფონდმა „2020“–მა თანხა კონკრეტული პროექტისთვის აიღო.**

– ეროვნული განვითარების გეგმის პროექტის შემუშავებისთვის, რომელიც წარმოადგენს სამომავლო პოლიტიკისა და პროგრამების განვითარების მოდელს ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვის სფეროებში. მიღებული თანხა მიზნობრივად დაიხარჯა, კერძოდ, პროექტის ფარგლებში საქართველოში ჩამოიყვანეს უცხოელი მკვლევრები, რომლებმაც ეროვნული განვითარების გეგმის პროექტი შეიმუშავეს. ეს პროექტი შესრულების შემდეგ დამკვეთს – „ქართუ ჯგუფს“ გადაეცა და ეს სერიოზული დოკუმენტია. 564 450 ლარიდან არც ერთი თეთრი არ დახარჯულა ტელეკოპანია „მაესტროს“ მართვის უფლების შესაძენად, ასევე არ დახარჯულა თანხა ჩემი პოლიტიკური მიზნებისთვის, – განაცხადა კიწმარიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ამის შესახებ ინფორმაცია „ნეტგაზეთმა“ დაახლოებით ერთი თვის წინ მოიპოვა, თუმცა, იმ დროს ეროსი კიწმარიშვილმა ამ საკითხზე საუბარი არ ისურვა. კიწმარიშვილის ფონდისთვის გადარიცხული თანხა 1 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილმაც ვერ გაიხსენა.

აღსანიშნავია, რომ ღია წერილში, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა 12 ოქტომბერს გამოაქვეყნა, ეროსი კიწმარიშვილი რამდენჯერმე მოიხსენია.

ივანიშვილმა „ქართულ პარტიას“ ფსევდოოპოზიციური უწოდა, ხოლო ეროსი კიწმარიშვილს – ხელისუფლების დაკვეთის შემსრულებელი.

ბიძინა ივანიშვილმა ეროსი კიწმარიშვილი ტელეკომპანია „მაესტროსთან“ დაკავშირებითაც მოიხსენია: „მე ვეკითხები „მაესტროს“ ჟურნალისტებს და თუნდაც მის ადმინისტრაციასა თუ დამფუძნებლებს – როდესაც ტელევიზიას მართავს ფსევდოოპოზიციონერის, ეროსი კიწმარიშვილის კომპანია, ადამიანის, რომელმაც სხვას რომ თავი დავანებოთ, მისივე აღიარებით 2008 წელს დღევანდელ ხელისუფლებასთან ერთად დაასამარა ხალხის რეალური არჩევანი, შეიძლება თუ არა, რომ ვიღაცას ჰქონდეს ილუზია, რომ ასეთი ტიპის ადამიანი გახდება თავისუფალი სიტყვის გარანტი?“

ივანიშვილის კრიტიკას ეროსი კიწმარიშვილი იმავე დღეს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ივანიშვილის მხრიდან მისი პერსონით ასეთი გალიზიანება მისთვის მოულოდნელი იყო.

– ეს, შესაძლოა, ჩვენს წარსულ ბიზნესურთიერთობებს უკავშირდებოდეს, – განაცხადა კიწმარიშვილმა, თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, რა ბიზნესურთიერთობები აკავშირებდა წარსულში ივანიშვილთან.

თუმცა, „ნეტგაზეთმა“ მოიპოვა ინფორმაცია ივანიშვილის კუთვნილი საქველმოქმედო ფონდებიდან გაღებული შემოწირულობების შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ 2009 წელს მისი ფონდი კიწმარიშვილის ფონდს 564 450 ლარით შეეწია.

ფონდმა „ორიათას ოცმა (2020)“ აღნიშნული თანხა კონკრეტული პროექტისთვის მიიღო: „ეროვნული განვითარების გეგმის პროექტის შემუშავება, რომელიც წარმოადგენს სამომავლო პოლიტიკისა და პროგრამების განვითარების მოდელს ეკონომიკური და

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ირაკლი ოქრუაშვილი: „სოზარ სუბარი კოტე გოგელიას ჯიბეს ჩამოეკიდა“

ნათია ხურცილავა

სოზარ სუბარმა „ქართული პარტია“ დატოვა. ამის შესახებ ხმები დიდი ხნით ადრე ვრცელდებოდა, მაგრამ სუბარს ეს პრესისთვის არ დაუდასტურებია. თუმცა, გუშინ მან დაადასტურა, რომ პარტია დატოვა.

მისი თქმით, პარტიიდან კარგა ხანია წამოსულია, თუმცა ამის შესახებ საჯარო განცხადება აქამდე არ გაუკეთებია. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ამ თემაზე საუბარი სუბარმა არ ისურვა. – ამ თემაზე სხვა დროს ვისაუბროთ. – განუცხადა ჟურნალისტებს სუბარმა.

მიიღებს თუ არა ის ბიძინა ივანიშვილის შეთავაზებას, ეს უცნობია. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ის ივანიშვილის გუნდში ვიხილოთ, რადგან ყოფილი სახალხო დამცველი მისაღებია ივანიშვილის პარტნიორებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მას დაპირისპირება ჰქონდა რესპუბლიკელებთანაც და ალასანიასთანაც.

რატომ დატოვა ყოფილმა სახალხო დამცველმა პარტია, ამაზე არაერთი ინფორმაცია ვრცელდება. თუმცა, როგორც გვითხრა, ის სხვა დროს აპირებს ამ საკითხზე საუბარს.

როგორც ჩანს, ყოფილი სახალხო დამცველი პოლიტიკურ პარტიას, პოლიტიკისთვის შეუფერებელი იდეალებით აფუძნებდა, მაგრამ არ გაუმართლა, რადგან მან არასწორი პოლიტიკური არჩევანი გააკეთა, თავის დროზე გაკეთებული ექსპერტთა შეფასებებით.


ირაკლი ოქრუაშვილი

ირაკლი ოქრუაშვილი ჩვეულ სტილშია. ის აგრძელებს ლანძღვა-გინების პოლიტიკას. „ქართული პარტიის“ თანათავმჯდომარე, ოქრუაშვილი მიიჩნევს, რომ სოზარ სუბარი კოტე გოგელიას ჯიბეს ჩამოეკიდა და იმის დაკრულზე ცეკვავს, ვინც ფულს უხდის.

ასეთი შეფასებები ოქრუაშვილისგან მას შემდეგ „დაიმსახურა“ სოზარ სუბარმა, რაც პარტია დატოვა, მაგრამ სანამ პარტიას დატოვებდა, სუბარი მისაღები იყო ოქრუაშვილისთვის.

სოზარ სუბარის პარტიიდან წასვლასთან დაკავშირებით განცახდება პარტიის პრესსამსახურმაც გაავრცელა. – „ქართული პარტიის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი ორ თვეზე მეტია პარტიის ოფისში არ გამოჩენილა და არც პარტიულ საქმიანობაში მიუღია მონაწილეობა. პარტიის თავმჯდომარე არ დაინტერესებულა იმით, რა პროცესები ვითარდებოდა პარტიაში. არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, დღეს კი განცხადება გააკეთა პარტიიდან წასვლის შესახებ და ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოიხსნა იმ ადამიანების წინაშე, ვინც დღეს პარტიის ერთგულების გამო ციხეშია, ან ქვეყნიდან არის განდევნილი. – აღნიშნულია განცხადებაში.

# ივანიშვილს „მაესტროს“ ყიდვა 2009 წელსაც უნდოდა


ბიძინა ივანიშვილი

დასაწყისი მე-3 გვერდზე

სოციალური დაგეგმვის სფეროებში“. მაშინ ამ საკითხთან დაკავშირებით „ქართული პარტიის“ პრესსამსახურში განაცხადეს, რომ კიწმარიშვილი კომენტარს არ აკეთებდა.

– ინფორმაცია, მე მგონი, მცდარია, მე ეროსი არასდროს არ დამიფინანსებია, გულწრფელად გეუბნებით. შეგიძლიათ ეს ინფორმაცია წერილობით გამოაქვეყნოთ და გაგცემთ შემდეგ პასუხს, – ასეთი კომენტარი გააკეთა ბიძინა ივანიშვილმაც.

სხვათა შორის, ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ივანიშვილის ფონდმა მართლაც გადაურიცხა თანხა ფონდ „2020“-ს, თავად ივანიშვილის კუთვნილმა „ქართუ ჯგუფმა“ გასცა.

რაც შეეხება ფონდ „2020“-ს, მისი დამფუძნებელი და თავმჯდომარე რომ ნამდვილად ეროსი კიწმარიშვილია, ეს სამეწარმეო რეესტრის ამონაწერითაა დადასტურებული. იმავე ამონაწერში მითითებულია, რომ ფონდს რამდენიმე დირექტორი ჰყავს, კერძოდ: ნოდარ რაზმაძე, რევაზ ადამია და ლევან ტვილდიანი.

საინფორმაციო სააგენტოების მიერ 2009 წლის მაისში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფონდ „2020“-ს 2009 წლის 12 მაისს უნდა გაემართა ახალი პროექტის – „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური კვლევის ინსტიტუტის“ პრეზენტაცია.

იმავე ინფორმაციით, „ფონდი მიზნად ისახავს 2020 წლისთვის საქართველოს სახელმწიფო და სამოქალაქო ინსტიტუტების, ასევე, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციას. ამავე მიზნით ხორციელდება შემდეგი პროექტები: ეროვნული განვითარების სტრატეგია, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური კვლევის ინსტიტუტის დაფუძნება, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების 2013-2020 წლების ეროვნული განვითარების სტრატეგია, თვითმმართველობის ინსტიტუტების ხელშეწყობა, დემოკრატიული და მედიაინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა, ეროვნული უმცირესობის პრობლემატიკა, საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევების ცენტრის ჩამოყალიბება, ქართულ-ევროპული დიალოგი, ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზაციის საბჭოს შექმნა და საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობის ქარტიის რეალიზაციის ხელშეწყობა“.

„ნეტგაზეთში“ დასძენენ, რომ კიწმარიშვილის ფონდიდან თანხის, 564 450 ლარის მიღება საინტერესოდ ემთხვევა იმ პერიოდს, როცა ეროსი კიწმარიშვილმა ტელეკომპანია „მაესტროს“ მართვის უფლების მოპოვებას მოახერხა. 2009 წლის ნოემბერში ტელეკომპანია „მაესტრო“ მართვის უფლებით, სამი წლის ვადით, გადაეცა „რუსთავის მედიის მართვის კომპანიას“, რომლის 100%-ანი წილის მფლობელი ეროსი კიწმარიშვილია. 2010 წლის ბოლოს „მაესტრომ“ ფინანსური პრობლემების გამო რამდენიმე დღით შეაჩერა მაუწყებლობა.

სწორედ მაშინ გადაწყვიტა „მაესტროს“ გენერალურმა დირექტორმა კახა ბექაურმა თანამდებობის დატოვება, როგორც ბექაური აცხადებდა – ფინანსური პრობლემების გამო. ბექაურის განცხადების თანახმადვე, ფინანსური პრობლემები არხზე „მაესტროს“ ეროსი კიწმარიშვილისთვის მმართველობაში გადაცემის შემდეგ შეიქმნა, რადგან, მისივე განცხადებით, კიწმარიშვილი „მაესტროს“ პოლიტიკური ინტერესების გასატარებლად იყენებდა და წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ მისი დაფინანსება შეწყვიტა.

აპირებდა თუ არა ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ 2009 წელს ტელეკომპანია „მაესტროს“ შეძენას და ამის გამო გადაუხადა თუ არა კიწმარიშვილის ფონდს ნახევარ მილიონზე მეტი? – ასეთ კითხვას სვამს გამოცემა. „მაესტროს“ გენერალურმა დირექტორმა ილია კიკაბიძემ ამ თემაზე განაცხადა, რომ მას არანაირი ინფორმაცია არა აქვს კიწმარიშვილისა და ივანიშვილის ფონდების კავშირის თაობაზე. ის კი ყველასთვისაა ცნობილი, რომ ივანიშვილმა „მაესტროს“ ყიდვის თაობაზე ოფიციალური შეთავაზება არხის ხელმძღვანელობას 2011 წლის ოქტომბერში მისცა.

– მზად ვარ, თქვენ წინაშე ავიღო ყველა ის ფინანსური ვალდებულება, რომელსაც ზემოთ აღნიშნული პირი (საუბარია ეროსი კიწმარიშვილზე), კაცმა არ იცის, საიდან მოტანილი დაფინანსებით ასრულებს (ან არ ასრულებს) თქვენ წინაშე, – ნათქვამია ივანიშვილის მიერ 2011 წლის 12 ოქტომბერს გამოქვეყნებულ განცხადებაში, რომლითაც მან ტელეკომპანია „მაესტროს“ მიმართა.

ამ შეთავაზებას იმავე დღეს გამოეხმაურა კიწმარიშვილი, რომელმაც 1 ლარად შესთავაზა ივანიშვილს „მაესტროს“ მართვის უფლების გადაცემა. კიწმარიშვილმა ამის ერთადერთი პირობა წამოაყენა, რომლითაც ბიძინა ივანიშვილი „მაესტროს“ მენეჯმენტს ინვესტიციების საკითხზე უნდა შეთანხმებოდა. ეროსი კიწმარიშვილმა იქვე განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ამ შეთავაზებაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში მზად იყო, დაუყოვნებლივ დაკავშირებოდა თავის ადვოკატებს ჟენევაში „მაესტროს“ მართვის უფლების გადაცემის საკითხზე მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე. კიწმარიშვილის ამ შეთავაზებას ბიძინა ივანიშვილი აღარ გამოხმაურებია.

# სოზარ სუბარი ბიძინა ივანიშვილთან გადადის


სოზარ სუბარი

სოზარ სუბარის განცხადება „ქართული პარტიის“ ყოფილი თავმჯდომარე სოზარ სუბარი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ .

„ბოლო პერიოდში ბევრი კითხვა გაისმოდა ჩემი მისამართით – ვრჩები თუ არა „ქართულ პარტიაში“, რა დამოკიდებულება მაქვს მიმდინარე მოვლენების მიმართ და რას ვაპირებ. შეიძლება გამიგრძელდა დუმილი, მაგრამ ამას ჰქონდა მიზეზები,

რომელიც საზოგადოებას ნაკლებად დააინტერესებს. პარტიაც რამდენიმე კვირის წინ დავტოვე, თუმცა, ესეც უმნიშვნელო და ნაკლებსაინტერესო მოვლენა მგონია.

მთავარი არის ის, რომ ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლება. ყველა პატიოსანმა მოქალაქემ იცის, რომ ყველა იმ უსამართლობის და ბოროტების სათავე, რასაც ყოველდღიურად ვუცქერთ, არის თავკერძა და ყველაფრისმკადრებელი ხელისუფლება, რომელიც უფსკრულისკენ მიაქანებს ქვეყანას. პოლიტიკა შემოიჭრა საქართველოს ყველა მოქალაქის ოჯახში და მისთვის თავის არიდება ნიშნავს ქვეყნის გაწირვას სრული უპერსპექტივობისთვის, საიდან გამოსვლაც ძალიან დიდხანს შეუძლებელი იქნება.

მე არ ვფიქრობდი პოლიტიკაში მოსვლას, ადამიანის უფლებების დაცვა მიმაჩნდა ჩემს საქმედ, მაგრამ როცა ქვეყანაში განუკითხაობამ დაისადგურა, შეუძლებლად მივიჩნიე პოლიტიკისგან განზე გადგომა, რადგან ამ ვითარების შეცვლის გზა სწორედ პოლიტიკაზე გადის.

მას შემდეგ, რაც წარუმატებელი გამოდგა ოპოზიციის მცდელობები, არჩევნების ან გამოსვლების გზით შეეცვალა ავტორიტარული რეჟიმი, მოქალაქეების უმრავლესობა ნიჰილიზმმა და სრული უპერსპექტივობის განცდამ მოიცვა.

ტოტალური თვალთვალის, ზეწოლის, დაშინებისა და ტერორის პირობებში, როდესაც სასამართლო არ არსებობს და ტყუილ-მართლის გარჩევა შეუძლებელია, ნორმალური პოლიტიკური პროცესიც ვერ იარსებებს.

სიმართლეს თვალი გავუსწოროთ, სექტემბრის ბოლოს ცხადი გახდა, რომ ოპოზიციურ პარტიებს აღარც ერთად და აღარც ცალ-ცალკე აღარ გაგვაჩნდა იმის რესურსი, რომ 2012 წლის არჩევნები ოდნავ მაინც დამგვანებოდა ცივილიზებულ პოლიტიკურ პროცესს.

პირადად მე თანდათან მიპყრობდა საშინელი იმედგაცრუება, რადგან არ ჩანდა შექმნილი ჩიხიდან გამოსავალი და სულ უფრო მიჭირდა თანამებრძოლების გამხნევება, რადგან ვერ ვხედავდი გზას, რომელიც გამარჯვებისკენ წაგვიყვანდა.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლით საქართველოში შეიქმნა ახალი რეალობა, ერთბაშად დაბრუნდა ქვეყნის გადარჩენის იმედიც და პოლიტიკური პროცესისადმი ნდობაც.

ბიძინა ივანიშვილი იქცა ნაციონალურ იმედად და ამ იმედის დაკარგვა ქვეყნის დიდი ხნით გაწირვის ტოლფასია.

ვხედავ და ვგრძნობ, რამდენი ადამიანი უყურებს მას იმედის თვალით და სწორედ ეს მაძლევს იმის რწმენას, რომ იგი შეასრულებს ნაციონალური გამაერთიანებლის, ნაციონალური ლიდერის როლს, რომლის ირგვლივ შემოკრებილი საზოგადოებაც დაიბრუნებს ღირსებას, სამართლიანობას და თავისუფლებას.

არ შეიძლება იმის არდანახვა, რომ ქვეყანაში მხოლოდ ორი პოლიტიკური ბანაკი დარჩა – ნაციონალური მოძრაობა თავისი ადმინისტრაციული რესურსებით, გაყალბებისა და ძალადობის მექანიზებით და იმ მოქალაქეების ერთობა, ვისაც სამართლიანობის დაბრუნება სურს.

მინდა მივმართო „ქართული პარტიის“ წევრებს, ჩემს მეგობრებს და თანამებრძოლებს – გიდასტურებთ ულრმეს პატივისცემას, ჩვენ ერთად ვიბრძოდით სააკაშვილის დიქტატურის წინააღმდეგ და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ბრძოლას ბოლომდე მივიყვანთ.

თქვენი აბსოლუტური უმრავლესობა „ქართულ პარტიაში“ მოვიდა სააკაშვილის რეჟიმთან საბრძოლველად და თქვენი შემართების და ენერგიის სხვა მიმართულებით წარმართვა დანაშაულის ტოლფასი იქნებოდა.

დღეს ყველა ხვდება, სადაც გადის ფრონტის ხაზი და ყველამ თავად უნდა იპოვოს თავისი ადგილი ამ ბრძოლაში. დღეს სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი და არა ნებისმიერი ვიწროპარტიული ამოცანის გადაწყვეტა ან პიროვნული ამბიციის დაკმაყოფილების მცდელობა.

შეიძლება შეცდომებსაც ვუშვებდი, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი სამართლიანობისთვის მებრძოლა და დღეს ვერც ამ პროცესის გულშემატკივრობაზე ვიტყვი უარს და ვერც პროცესების გულგრილ მაცქერალად დავრჩები. ვერ დავრჩები, რადგან ძალიან მინდა გაიმარჯვოს იმ საქმემ, რომელსაც ახლა უკვე ბიძინა ივანიშვილი ჩაუდგა სათავეში. მე სად ვიქნები, მნიშვნელობა არა აქვს და არც ვეძებ რაიმე ადგილს, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ამ პროცესს ყველანაირად შევუწყობ ხელს“, – ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

## ცენტრალურ საავტომობილო გზებზე ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდული არ არის

უამინდობის მიუხედავად ამ დროისთვის რიკოთის უღელტეხილზე ტრანსპორტი შეუფერხებლად მოძრაობს.

როგორც „მედიანიუსს“ საავტომობილო გზების დეპარტამენტში განუცხადეს, ამ დროისთის საავტომობილო გზა არსად გადაკეტილი არ არის. ცენტრალურ მაგისტრალზე გაადგილება შეუზღუდავია.

შეზღუდვები დაწესებული მხოლოდ ჯვრის და ნაქერალას უღელტეხილზე. აღნიშნული შეზღუდვები, სავარაუდოდ, გაზაფხულამდე გაგრძელდება.

დიდთოვლობის გამო წუხელ რამდენიმე საათის განმავლობაში იყო შეფერხებული მოძრაობა რკინიგზის ხარაგაულის მონაკვეთზე. წიფის გვირაბის მიმდებარე ტერიტორიაზე ელექტროსადენები გაწყდა, რის გამოც სამგზავრო მატარებელი გაჩერებული იყო. სამუშაოების შემდეგ იმერეთისაკენ მოძრაობა აღდგა.

რკინიგზაში აცხადებენ, რომ შეფერხება რკინიგზის სხვა მონაკვეთებზე არ არის და მატარებლები ყველა მიმართულებით დაწესებული განრიგით მოძრაობენ.

მედიანიუსი

## სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი დააყენა



სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ ქურდობაში ბრალდებული ორი პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დააყენა. იგორ აფანასენკოსა და პაატა კაშიას ბრალი სოფელ ბაშში მდებარე თევზსაშენი მეურნეობიდან 43 კილოგრამი თევზის ფარულად დაუფლებაში ედებოდათ. გამოძიების მასალების მიხედვით, ამ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მეურნეობის მფლობელს 387 ლარის ფინანსური ზიანი მიადგა.

სასამართლო განხილვის დროს დაკითხულმა თევზსაშენი მეურნეობის მფლობელმა კოტე ნაცვლიშვილმა დაადასტურა, რომ ტბორიდან თევზის ამოსაყვანად ბრალდებულებს მისი ნებართვა აღებული ჰქონდათ. სასამართლომ ბრალდების მტკიცებულებების არარსებობის გამო იგორ აფანასენკოსა და პაატა კაშიას მიმართ გამამართლებელი განაჩენი დააყენა.

## სერჟ სარგსიანი საქართველოდან გაემგზავრა

სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის საქართველოში ვიზიტი დასრულდა. სომხეთის პრეზიდენტი ერევანში უკვე გაემგზავრა.

გამგზავრებამდე ის ავლაბარში მდებარე სომხურ ეკლესიას ესტუმრა, შემდეგ კი, საქართველო-სომხეთის ბიზნესფორუმს დაესწრო, რომელშიც მონაწილეობას 40-ზე მეტი სომხური კომპანიის წარმომადგენელი იღებდა.


სერჟ სარგსიანი

სარგსიანმა ფორუმი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად გახსნა. მისასალმებელ სიტყვაში სომხეთის პრეზიდენტმა ორი ქვეყნის ეკონომიკურ თანამშრომლობაზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ იმპორტ-ექსპორტის მაჩვენებელი მოიმატებს, სომხურ ეკონომიკაში კი უფრო მეტი ქართული ინვესტიცია ჩაიდება.

სარგსიანი საქართველოში გუშინ ჩამოვიდა. ვიზიტის პირველ დღეს ის საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილსა და პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს შეხვდა. გუშინვე მან სეხვედრა განმართა პატრიარქ ილია მეორესთან. უწმინდესმა სომხეთის პრეზიდენტი საპატრიარქოში მიიღო.

შეხვედრის ნაწილი დახურულ კარს მიღმა გაიმართა. შეხვედრაზე ილია მეორემ ორი ქვეყნის ისტორიულ მეგობრობაზე და საკუთარი ერების წინაშე ქართული და სომხური ეკლესიების როლზე ისაუბრა. ასევე, ყურადღება იმ საერთო ღირებულებებზე გაამახვილა, რაც ამ ორ ერს აქვს. სერჟ სარგსიანმა, თავის მხრივ, ის რთული პერიოდები გაიხსენა, რაც ორი ქვეყნის ურთიერთობებში ყოფილა და სახელმწიფოების დაახლოებაში ეკლესიის როლზე ისაუბრა.

**მედიანიუსი**

## უკრაინელები კორუფციასთან ბრძოლაში საქართველოს გამოცდილებას ეცნობიან

თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის ინიციატივით უკრაინის პარლამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ქვეყანაში მომუშავე დონორ ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შეხვდნენ. შეხვედრის თემა იყო „კორუფციასთან ბრძოლა საქართველოში, რეფორმები, შედეგები". შეხვედრა საერთაშორისო პროექტის – „საერთაშორისო გამოცდილება უკრაინის საავტომობილო პოლიციის სისტემის რეფორმირებაში" – ფარგლებში გაიმართა. პროექტის პარტნიორია „კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უკრაინის სპეციალური სავჭო".

როგორც „მედიანიუსს" გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის თავმჯდომარე თენგიზ ფხალაძემ განუცხადა, უკრაინელმა სტუმრებმა შეხვედრები უკვე გამართეს შინაგან საქმეთა, იუსტიციის სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებში.

„ისინი საქართველოში ანტიკორუფციული გამოცდილების გასაზიარებლად ჩამოვიდნენ. განსაკუთრებით კი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საგზაო პოლიციაში გატარებული რეფორმებით დაინტერესდნენ", — აღნიშნა თენგიზ ფხალაძემ.

როგორც „მედიანიუსს" სრულიად უკრაინის კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სპეციალური კოლეგიის თავმჯდომარე იური ლავრენიუკმა განუცხადა, უკრაინელები კორუფციასთან ბრძოლასა და რეფორმების გატარებაში არაერთი ქვეყნის გამოცდილებას გაეცნენ და განსაკუთრებით საქართველოს მოდელით დაინტერედნენ.

„საქართველო და უკრაინა პოსტსაბჭოთა ქვეყნები არიან და პრობლემებიც საერთო აქვთ. კორუფციასთან ბრძოლის თქვენეული მოდელი უკრაინისათვის ყველაზე მისაღები და შესაფერისი აღმოჩნდა. გუშინ იუსტიციის ერთ-ერთ სახლში ვიყავით, სადაც ვნახეთ, თუ „აიდი" ბარათის მეშვეობით ონლაინ რეჟიმში რა სწრაფად, მხოლოდ 2 წუთში ტარდება სარეგისტრაციო პროცედურები. ჩვენთან კი ჯერ კიდევ ბიუროკრატიული ბარიერები არსებობს და მოქალაქეებს ამისათვის სხვადასხვა ადგილზე მისვლა უწევთ", — აღნიშნა იური ლავრენიუკმა.

გუშინ გამართული შეხვედრის ფინანსური მხარდამჭერი ფონდი „ღია საზოგადიება-საქართველოს" აღმოსავლეთ-დასავლეთის პროგრამა იყო.

**მედიანიუსი**

## რომელი დეპუტატები ზარმაცობენ „ფეისბუქში" და პირადი გვერდები ფორმალურად აქვთ გახსნილი

*შალვა ჯოხაძე*

ჩვენი პოლიტიკოსები „ფეისბუქის" მოდას ისე აჰყვნენ, რომ ლამის ყველამ ე.წ. ფანპეიჯები შექმნეს და ფანებს აგროვებენ. ყველაზე თავგამოდებული „ფეისბუქელი" მაინც დავით ბაქრაძეა, რომელიც სოციალურ ქსელში კონკურსებსაც კი აწყობს ხოლმე. გამარჯვებულებისათვის პრიზი მისი ხილვა და პარლამენტის დათვალიერებაა.


დავით ბაქრაძე

– ნებისმიერი ხელისუფლების ვალდებულებაა იყოს უშუალო კონტაქტში და კომუნიკაციაში მოსახლეობასთან და მაქსიმალურად მიიღოს პირდაპირი ინფორმაცია საზოგადოებიდან, თუ რა აწუხებთ და რა უხარიათ ჩვენს ხალხს და ჩვენს საზოგადოებას. ამ თვალსაზრისით ინტერნეტი და სოციალური ქსელები სულ უფრო მეტ როლს ასრულებს.

ძალიან ბევრი ადამიანია რეგისტრირებული „ფეისბუქის" სოციალურ ქსელში და ეს არის კომუნიკაცია, პირდაპირი საშუალება და გზა მოვისმინოთ ჩვენი მოსახლეობის აზრი და მათ მიიღონ ჩვენგან ყველა ის ინფორმაცია, რაც აინტერესებთ. ჩვენი ამოცანაა, ვიყოთ მუდმივ კონტაქტში ხალხთან და გამოვიყენოთ ინტერნეტი და სოციალური ქსელები, რათა იყოს მუდმივი ინტერაქცია საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის, – ასე ხსნის ბაქრაძე თავის გატაცებას.

ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში" გადავწყვიტეს, შეემოწნებინათ, თუ რამდენად მიმართავენ მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატები სოციალურ ქსელს თავიანთ ამომრჩეველთან კომუნიკაციის მიზნით.

– შევისწავლეთ სხვადასხვა სოციალური ქსელები: „ფეისბუკი", „იუტუბი" და „ტვიტერი". ყველა მაჟორიტარი დეპუტატი უზრუნველყოფილია საკუთარი პერსონალური ვებგვერდით და ჩვენ ასევე გამოვიკვლიეთ მათ საინფორმაციო კედლებზე სიახლეების განთავსების სიხშირე.

რამდენიმე დეპუტატი აქტიურად იყენებს ზემოჩამოთვლილ სოციალურ ქსელებს. მაგალითად, არჩილ გეგენავას, მთაწმინდის უბნის წარმომადგენელ მაჟორიტარს, საკმაოდ ვრცელი გვერდი აქვს „ფეისბუქში", რომელზეც განთავსებულია უამრავი საზოგადოებრივი გამოკითხვა, ასევე „ტვიტერსა" და „იუტუბზე".

საბურთალოს უბნის წარმომადგენელი მაჟორიტარი, გიორგი მელაძე, ერთ-ერთია იმ პარლამენტარებს შორის, რომლებიც აქტიურად იყენებენ „ფეისბუკის" პერსონალურ გვერდებს საპარლამენტო სიახლეების განსათავსებლად და რიგითი მოქალაქეების შეკითხვებსა და წუხილებზე საპასუხოდ.

თუმცა, კვლევამ გამოავლინა, რომ პარლამენტის წევრები ძირითადად მაინც საკუთარ პირად ვებგვერდებს მიმართავენ პარლამენტის საქმიანობაზე სიახლეების გამოსაქვეყნებლად. ამგვარი კომუნიკაცია ცალმხრივია, იმდენად, რამდენადაც, მოქალაქეებს გვერდზე განთავსებულ სიახლეებზე არ აქვთ კითხვების დასმისა და შენიშვნების გაკეთების საშუალება. „ფეისბუკის", „ტვიტერისა" და „იუტუბის" გამოყენების შემთხვევები იშვიათია, – აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობაში"

ორგანიზაციაში მიაჩნიათ, რომ სოციალური ქსელის აქტიური გამოყენება გააძლიერებს ანგარიშვალდებულებას და შექმნის ერთგვარ პლატფორმას მოქალაქეებისათვის, საიდანაც ისინი თავიანთ შეკითხვებსა და წუხილებს გააჟღერებენ. ისინი მოუწოდებენ პარლამენტის ყველა წევრს, მიჰბაძონ თავიანთ კოლეგებს, რომლებიც ეფექტურად იყენებენ სოციალურ მედიას.

## „მაგთიკომმა" წამახალისებელი აქციის მორიგი გამარჯვებულები გამოავლინა

**ანა არჩვაძე, გიორგი ენდელაძე და ლაშა გიორგაძე — ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც „მაგთიკომის" წამახალისებელ აქციაში მონაწილეობა მიიღეს და გაიმარჯვეს კიდეც. რიგით მესამე გათამაშების გამარჯვებულები ამბობენ, რომ გახარებულები არიან და კომპანიას ასეთი საჩუქრისთვის დიდ მადლობასაც უხდიან. „მაგთიკომში" კი აცხადებენ, რომ აქციამ გაამართლა და ასეთი პრიზების მოგების შანსს საკუთარ აბონენტებს მომავალშიც აუცილებლად მისცემენ.**




„ამ აქციამ თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიწვია, ძალიან ბევრი ადამიანი ჩაერთო გათამაშებაში. მეტიც, აქციის განმავლობაში გაიზარდა „მაგთიკომში" სხვა ქსელებიდან პორტირებულთა რაოდენობაც. ეს ადამიანები, რომლებიც დღეს უკვე ჩვენი აბონენტები არიან, საკმაოდ აქტიურობენ კიდეც", – განაცხადა „მაგთიკომის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერმა თათული ღვინიაშვილმა.

რაც შეეხება თავად აქციას, მაგთის, ბალის, ბანისა და მაგთი ფიქსის მომხმარებლებს კომპანია წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობით და 100 000, 20 000, ან 10 000 ლარის მოგების შანსი პირველად 25 სექტემბერს მისცა. შემდეგი იყო 30 ოქტომბერი და 27 ნოემბერი, რიგით მეოთხე გათამაშება კი 25 დეკემბერს ისევ ტელეკომპანია „იმედის" პირდაპირ ეთერში, 22:00-ზე გაიმართება. აქციის ფარგლებში აბსოლუტურად უფასოდ რეგისტრირდება მომხმარებელი და თითოეულ ჩარიცხულ 3 ლარზე თითო ბილეთი ერიცხება. ერთჯერადად ჩარიცხულ 6 ლარს შეესაბამება 2 ბილეთი, 5 ლარს – 1 ბილეთი, 14 ლარს – 4 ბილეთი და ა.შ.

„მაგთიკომის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თათული ღვინიაშვილი აცხადებს, რომ გათამაშების გამოცხადების პირველი დღიდანვე მომხმარებელი განსაკუთრებით გააქტიურდა.

„თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიწვია, ძალიან ბევრი ჩაერთო გათამაშებაში. პირველი გათამაშება 25 სექტემბერს გაიმართა, რომელმაც 3 იღბლიანი გამოავლინა. ამდენივე თანხა იყო გათვალისწინებული მეორე და მესამე გათამაშებაშიც. ის ადამიანები, რომლებმაც პრიზები მოიგეს, გახარებულები არიან, რადგან საპრიზო თანხა ცოტა ნამდვილად არ არის. დაგვრჩა კიდევ ერთი გათამაშება, რომელიც 25 დეკემბერს ისევ იმედზე და ისევ 22 საათზე გაიმართება.

„მინდა ასევე აღვნიშნო, რომ კომპანია სამომავლოდაც გეგმავს ასეთი ტიპის პრიზების გათამაშებას. მას შემდეგ, რაც ამ გათამაშების შესახებ გამოცხადდა, ჩვენი აბონენტები ძალიან გააქტიურდნენ. პირველ გათამაშებაში ყველამ ნახა, თუ რამდენი ბილეთი იყო დოლურაში. მეორე და მესამე გათამაშებაში ეს რაოდენობა უფრო გაიზარდა. იმის გამო, რომ ამ ეტაპზე დაგვრჩა მხოლოდ ერთი გათამაშება, მოვუწოდებ ჩვენს აბონენტებს, რომ უფრო გააქტიურდნენ და ვიმედოვნებთ კიდეც, რომ ბილეთების რაოდენობა კიდევ გაიზრდება.

„და კიდევ ერთი, აქციის განმავლობაში გაიზარდა „მაგთიკომში" სხვა ქსელებიდან პორტირებულთა რაოდენობაც. ეს ადამიანები, რომლებიც დღეს უკვე ჩვენი აბონენტები არიან, აქტიურობენ კიდეც", – დასძინა თათული ღვინიაშვილმა.

მოგებული პრიზის მისაღებად „მაგთიკომის" ოფისში მოსული გამარჯვებულები – ანა არჩვაძე, ლაშა გიორგაძე და გიორგი ენდელაძე ემოციებს ვერ მალავდნენ, სამივე პრიოზიორი ამბობდა, რომ ეს მოულოდნელი მოგებაა და ასეთი შანსი ცხოვრებაში პირველად მიეცათ. ერთხმად აცხადებენ, რომ იღბალმა გაუღიმათ და გაუმართლათ.

მოგებული თანხის მფლობელებს ჯერ არ აქვთ მოფიქრებული, კონკრეტულად, სად და რაში დახარჯავენ ფულს – ჯერ კიდევ ყოყმანობენ გადაწყვეტილების მოლოდინში. სამივე გამარჯვებული ამბობს, რომ სიხარულს სხვებსაც გაუზიარებენ და თანხას აუცილებლად ახლობლებსაც გაუნაწილებენ.

სხვისი დახმარების სურვილი აქვს ჩოხატაურის მკვიდრ ლაშა გიორგაძეს. ამბობს, რომ მის ირგვლივ იმდენი გაჭირვებული ადამიანია, თანხის დაზოგვა ან „საქმეში ჩადება" გაუჭირდებათ. ლაშა გიორგაძე დაოჯახებულია, ჰყავს ორი შვილი და მისი შემოსავლის ერთადერთი წყარო ჩოხატაურში პურის მინი-ქარხანაა.

„აქამდე ეს იყო ოჯახის ძირითადი შემოსავალი. საპრიზო თანხის მოგების შემდეგ, ცხადია, ბევრად მყარი მდგომარეობა მექნება. თუმცა, ირგვლივ იმდენი გაჭირვებული ადამიანია, ამ თანხით ბიზნესის გაფართოება გამიჭირდება. ვფიქრობ, უფრო კეთილ საქმეებს მოვახმარ. რაიონში ვცხოვრობ, ჩემს ახლობლებს დღეს ძალიან უჭირთ და ვერ წარმომიდგენია, მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ვიფიქრო. ჯერჯერობით არ მაქვს განსაზღვრული, კონკრეტულად რაში დავხარჯავ. ისინი დღეს ძალიან ბედნიერები არიან და მინდა, ეს სიხარული ბევრმა განიცადოს.

„მიუხედავად იმისა, რომ 30 ბილეთი მქონდა, მოგებაზე არც მიფიქრია. იმ საღამოს მეგობართან ვიყავი და „კომედი-შოუს" ვუყურებდით. როდესაც ნანიკომ დამირეკა, მეგონა, რომ სხვა მეგობრები მეხუმრებოდნენ, მაგრამ საბედნიეროდ ეს ხუმრობა არ აღმოჩნდა და გავხდი 100 ათასის მფლობელი. დიდი მადლობა „მაგთის" და ნანუკას, რომელმაც დოლურადან ჩემი ნომერი ამოიღო და დამირეკა", – ამბობს ლაშა გიორგაძე.

„მაგთიკომის" გათამაშებას არ უყურებდა 20 000 მფლობელი გიორგი ენდელაძეც. ისიც, ლაშა გიორგაძის ანალოგიურად, „კომედი შოუს" უყურებდა, როდესაც ნანიკომ დაურეკა და უთხრა, რომ ერთ-ერთი იღბლიანი სწორედ ის იყო.

„ბაღდათის რაიონში, სოფელ ფერსათში ვცხოვრობ. 7-8 ბილეთი მქონდა, აქამდე არაფერი მომიგია და დიდი იმედი არც ამჯერად მქონია. უბრალოდ, დავრეგისტრირდი და მეგონა, ამით მორჩებოდა... თუმცა, ვცდებოდი, თურმე სიხარული წინ მელოდა. როცა გათამაშების წამყვანმა დამირეკა, „კომედი-შოუს" ვუყურებდი. ღმერთმა გაახაროს კომპანია „მაგთი" ამ დიდი სიხარულისთვის! მოულოდნელი იყო, ჯერაც ვერ გამიცნობიერებია, უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. არ ვმუშაობ და მოგებული თანხა ჩემი ოჯახისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია. ჯერ კიდევ არ მაქვს გადაწყვეტილი, სად დავხარჯავ. სავარაუდოდ, ბაბუის დანატოვარ სახლს გავარემონტებ".

ანა არჩვაძე 10 000 ლარის მფლობელია. პროფესიით იურისტი დღეს უმუშევარია, ჰყავს მეუღლე და 2 წლის შვილი. „მაგთიკომის" ოფისში პრიზის წასაღებად მისულს მეუღლეც თან ახლავს, მისი ემოციაც დანარჩენებისას ძალიან ჰგავს. ამბობს, რომ პირველად გაუმართლა და უსაზღვროდ ბედნიერია.

„წინასაახალწლოდ არაჩვეულებრივი საჩუქარია. პატარა შვილი მყავს და გავახარებ. ამ თანხას, ძირითადად, საჩუქრებში დავხარჯავ, მინდა ოჯახის წევრებს საახალწლოდ საუკეთესო საჩუქრები გავუკეთო. სიმართლე გითხრათ, არანაირად არ ველოდები, სულ რაღაც 3 ბილეთი მქონდა. არასოდეს არ მომიგია, ამიტომ მოულოდნელი იყო. პირველად არარეალური მეგონა, ტელევიზორსაც არ ვუყურებდი, ნანიკოს ზარი ჩემთვის იყო საოცრება. დღეიდან უფრო ერთგული აბონენტი ვიქნები, დიდი მადლობა „მაგთის" ამ სიხარულისთვის. ვუსურვებ, კიდევ ბევრი აბონენტი გაახაროს", – ამბობს ანა არჩვაძე.

# სააკაშვილის ერთადერთ მტრად ბეჭდური მედია რჩება

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილთან

***— ბატონო ჰამლეტ, ბოლო დროს ხელისუფლების ინტერესის სფეროში უკვე პრესაც მოექცა, თუმცა აქამდე ფსონები მხოლოდ ტელევიზიებზე იდებოდა, რამ განაპირობა ასეთი პატივი, სააკაშვილი, როგორც თვითონ ამბობს, დიდი ხანია რაც გაზეთებს აღარ კითხულობს...***

— ბეჭდვითი მედია დღემდე რჩებოდა და რჩება ამ ხელისუფლების ერთადერთ კრიტიკის საშუალებად. მართალია სააკაშვილი ამბობს, რომ პრესას არ კითხულობს, მაგრამ მე ამაში ეჭვი მეპარება. მაგალითად, „ასავალ დასავალში“ პირდაპირ წერია, რომ ომი დაიწყო სააკაშვილმა, რომ სააკაშვილი არის სომეხი. ის, რომ გამუდმებით არის ლაპარაკი მის წარმომავლობაზე გაზეთებში და არის წარმოუდგენლად მაღალ დონეზე ლანძღვა, ცხადია, ეს აფიქრებინებდა მას, რომ გადაედგა სულ სხვა ნაბიჯი. ეს ხელისუფლება ისეთია, რომ უკეთესს ვერ მოიფიქრებდა. რაც ამათ მოიგონეს, ეს არის აშკარა მცდელობა იმისა, რომ პრესა ჩაკვდეს. გახსოვთ, რომ ჯერ შეტევა მიიტანეს გამომცემლობის შენობაზე და ვინც იყო იქ, პრესა თუ ტელევიზია, ყველას ჭიტლაყი ამოარტყეს და გამოყარეს გარეთ. აქედან დაიწყო პრესაზე შეტევა და დღემდე გრძელდება. ამ ხელისუფლებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგალითად, „კავკასია“, როგორ საფრთხესაც უქმნის ნებისმიერი გაზეთი. მე მხედველობაში არ მაქვს „24 საათი“ და მისი მსგავსი გამოცემები. ამასთან ერთად, პრესა საკმაოდ ხმამაღლა ლაპარაკობს ბიძინა ივანიშვილზე, გამოხატავს გულთბილ დამოკიდებულებას, ასეა თუ ისე, პრესა მაინც ხვდება მკითხველის ხელში, მას აქვს საშუალება საზოგადოებამდე მიიტანოს მართალი სიტყვა, რაც არასასიამოვნოა ამ ხელისუფლებისთვის. როგორც ჩანს, სწორედ ეს არ მოეწონა პატივცემულ მიხეილს და პრესის წინააღმდეგ ადრე დაწყებული კამპანია ახალი ძალით აამოქმედეს. მერიას არ აინტერესებს, ქალაქი რა მდგომარეობაშია, თუნდაც მიწისქვეშა გადასასვლელები, მაგრამ თურმე პრესის ჯიხურები ამახინჯებს ქალაქის იერსახეს. ეს მტკნარი სიცრუეა.

***— თუ სწორად გავიგე, თქვენ ამბობთ, რომ ეს ყველაფერი ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას უკავშირდება?***

— არა მარტო ივანიშვილის. ეს უკავშირდება იმასაც, რომ პრესა ძალიან მძაფრად წერს და უშვერი სიტყვებითაც ლანძღავს, რასაც სააკაშვილი ხშირ შემთხვევაში იმსახურებს, ამას ემატება ბიძინა ივანიშვილის ფაქტორიც და აქედან გამომდინარე, ხელისუფლება ფიქრობს, რომ არ არის საჭირო, პრესამ იარსებოს.



„მედია-ნიუსის“ ფოტო

ჰამლეტ ჭიპაშვილი

***— ივანიშვილზე საზოგადოება ფიქრობს, რომ ეს არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია ქვეყანაში რაღაც შეცვალოს, მასზე დიდი იმედები მყარდება, თუმცა საზოგადოება უკვე ალაპარაკდა ივანიშვილის მხრიდან დაშვებულ შეცდომებზეც.....***

— შეცდომები ნამდვილად არის, ზოგი ძალიან უხეში, ეს გამოწვეულია ივანიშვილის პოლიტიკაში გამოუცდელობით, მაგრამ ამ შეცდომებს წონის ის პიროვნული ფაქტორი, რომ ამ ადამიანს ძალიან ბევრი აქვს გაკეთებული ქვეყნისათვის, რომ არა მისი ქველმოქმედება, ბევრი ცნობილი პიროვნება სულს განუტევებდა შიმშილით. მე, ცხადია, მხედველობაში არ მყავს ნინო ანანიაშვილი ან მისნაირები, მართალია ხელისუფლებაც არაერთხელ დააფინანსა, პირველ წლებში ჩვენ რომ სოროსი გვეგონა, თურმე ივანიშვილი უხდიდა ფულს ამ ბედოვლათებს. საზოგადობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილს არავითარი კავშირი არ უნა ჰქონოდა არც რესპუბლიკელებთან და არც ალასანიასთან, ეს არის ხალხის აზრი და არა ჩემი. გარდა ამისა, საზოგადოებას შეცდომად მიაჩნია ის, რომ ისეთ პირებს აფინანსებდა ივანიშვილი და დღესაც აფინანსებს, რომლებიც არ იმსახურებენ. რა ჭირდა ანანიაშვილს დასახმარებელი, როდესაც ქუჩაში არის მათხოვრების და გაჭირვებულების არმია, მაგრამ ეს არის ხარბი ადამიანის ბუნება და მეტი არაფერი. ასევე ლაპარაკობენ, რომ არ უნდა იყოს ბესელია მასთან და ბევრი სხვა ადამიანი, ამის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.

***— პოლიტიკურ პარტიებთან თუ ცალკეულ ფიგურებთან თანამშრომლობა არა მგონია, რომ ივანიშვილის ერთპიროვნული გადაწყვეტილება იყოს, მას საკმაოდ ბევრი მრჩეველი ჰყავს...***

— სწორედ ამ მრჩევლებზეა ლაპარაკი და საზოგადოება აღნიშნავს კიდეც, რომ ბევრი მათგანი არ უნდა იყოს ივანიშვილთან. მაგრამ მიუხედავად ამისა, ივანიშვილის მიერ გაკეთებული კეთილი საქმეები იმდენად დიდია, დღესაც რომ გაიმართოს არჩევნები, მე ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ივანიშვილი ბეჭებზე დადებს ნაციონალებს თავის სააკაშვილიანად.

***— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ სააკაშვილი რომ მდუმარებაშია ჩავარდნილი, ამას რა ახსნა აქვს?***

— სააკაშვილი ჯერ ამოქმედებს სხვას, მაგალითად, გამოდის წიკლაური და ამბობს - მდაბიო ივანიშვილი. წიკლაური რომ ივანიშვილზე მდაბიოაო იტყვის, წიკლაური მართლაც მდაბიო, მართლაც გოიმი, ეს გოიმი რომ ამას იტყვის ადამიანზე, რომელსაც მიღებული აქვს განათლება, ცხოვრობდა რუსეთში, საფრანგეთში, იცის ენები, არის წარმატებული ბიზნესმენი, წიკლაურის მთელი მონოლოგები არის გოიმობის ზეიმი და როგორ შეიძლება ამ გოიმმა ივანიშვილზე ილაპარაკოს; მაგრამ სააკაშვილი ამათ აყბედებს და მოქმედებს პრაქტიკულად, ხელს უშლის ბანკის მუშაობას, იჭერს მის ნათესავებს, ჩამოართვა მოქალაქეობა და ასე შემდეგ, მაგრამ ჯერ ხმას არ იღებს. როდესაც დაინიშნება საპარლამენტო არჩევნების დღე, დარწმუნებული ვარ, რომ მანამდე შევა კანონი ძალაში და იმ ქველმოქმედებას, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ეწევა, ჩაითვლება როგორც ქრთამი. სააკაშვილს ჯერ არ სჭირდება ყვირილი, ის პრაქტიკულად მოქმედებს, ხვალ კი, როდესაც ყველაფერი კულმინაციას მიაღწევს, ის უკვე ალაპარაკდება.

***— უცხოელების მხრიდანაც იკვეთება ივანიშვილის მიმართ გარკვეული დაინტერესება და სიმპათიებიც.***

— ივანიშვილი ამ დრომდე იყო უცნობი პიროვნება საზოგადოებისთვის, ეს იყო აბსოლუტურად ინკოგნიტო პიროვნება და როდესაც ასეთი ინკოგნიტო პიროვნება ამბობს იმას, რომ ის მიდის პოლიტიკაში და თანაც მას აქვს მილიარდები, ეს ყოველთვის იწვევს გარკვეულ ინტერესს, თანაც პრეზიდენტს ოფიციალერად უთავდება საპრეზიდენტო ვადა, ამიტომ დასავლეთი მიიჩნევს, რომ ის უნდა შეიცვალოს. ეს ზრახვები, რომელიც ამოძრავებს სააკაშვილს, ეს სხვაა. როდესაც ეს პიროვნება უნდა წავიდეს და ჩანაცვლდეს ვიღაცით, როდესაც დასავლეთს ჰგონია, რომ ეს ვიღაცა ვერ მოიძებნა, ოპოზიცია ძალიან სუსტია, პარტიები იმდენად არიან ერთმანეთში აზელილი თავიანთი სისულელეებით, რომ ვერავის ნორმალურს ვერ შეარჩევ, აქედან გამომდინარე გაჩნდა ამ პიროვნების მიმართ ინტერესი, მაგრამ არა მგონია, რომ უცხოეთმა თავი გაიგიჟოს ივანიშვილზე, ეს არის მხოლოდ ინტერესი და მეტი არაფერი.

# ლორთქიფანიძემ უმცირესობა ამხილა

თეა მარხვაიძე

**დეპუტატების რიცხოვნობის გაზრდას ოპოზიციის ნაწილი უკანონოს უწოდებს. მათი მტკიცებით, ეს არის ქვეყნის წინააღმდეგ შეთქმულება. ამ შეთქმულების მოწყობას ძირითადად ნაციონალებს აბრალებენ. გუშინ კი გაირკვა, რომ დეპუტატების რიცხოვნების გაზრდა ოპოზიციამაც მოითხოვა.**



დიმიტრი ლორთქიფანიძე

დეპუტატ დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტის 83 წევრს ეკუთვნის, რომელთა შორის უმცირესობის წარმომადგენლები: ნუგზარ ერგემლიძე, ლევან ვეფხვაძე, რატი მაისურაძე, ნიკოლოზ ლალიაშვილი, გიორგი თარგამაძე, გიორგი ახვლედიანი, გურამ ჩახვაძე, თამაზ კვანჭანტირაძე, გია თორთლაძე, მაგდა ანიკაშვილი და პაატა დავითაია არიან.

საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე დიმიტრი ლორთქიფანიძემ მათ ამ უკანონო ინიციატივის ინიცირებაში მონაწილეობსიათვის მორალური პასუხისმგებლობა დააკისრა.

ლორთქიფანიძის შეფასებით, პარლამენტის დეპუტატთა რიცხოვნობის 150-დან 190-მდე გაზრდასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივის ინიცირებაში მონაწილეობა სახელმწიფოებრიობის წინაღმდეგ მიმართული ფარული შეთქმულებაა.

– 2003 წლის 2 ნოემბრის რეფერენდუმის შედეგები არავის უარუყვია და სასამართლოშიც არ გასაჩივრებულა. შესაბამისად, რეფერენდუმი აბსოლუტურად კანონიერი იყო და მისი შედეგების გადახედვა მხოლოდ რეფერენდუმითვე არის შესაძლებელი. ამიტომ წარმოდგენილი ინიციატივა სახელმწიფოებრიობას უთხრის ძირს. ესა ფარული შეთქმულება საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ, რადგან 2003 წლის რეფერენდუმში საკუთარი ნება მილიონ 600 ათასზე მეტმა ადამიანმა გამოხატა და ახლა მისი იგნორირება ხდება. ხსენებულ რეფერენდუმზე შეკითხვა იმაზე არ ყოფილა დასმული, რომ დეპუტატთა რაოდენობა 150-მდე შემცირებულიყო. აქ შეკითხვა ნათლად არის დასმული: „თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა შემცირდეს და არაუმეტეს 150 დეპუტატით განისაზღვროს?“ ეს კი იმას გულისხმობს, რომ ზედა ზღვარი შეიძლებოდა 150 და მასზე ბევრად ნაკლებიც კი ყოფილიყო, – განაცხადა დეპუტატმა.

როგორც გაირკვა, ამ შეთქმულებაში უმცირესობის 2 წევრს არ მიუღია მონაწილეობა.

– ინიციატორთა შორის არ არიან გოდერძი მარსაგიშვილი და რამაზ თედორაძე, რაც მათ სასახელოდ მეტყველებს. – აცხადებს ლორთქიფანიძე.

83 დეპუტატის ქმედებით აღშფოთებული ოპოზიცია წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებების განსახილველად 2 დეკემბერს პარლამენტში ყველა დაინტერესებულ პირს, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს იწვევს.

ლორთქიფანიძის აღშფოთებას გამოეხმაურა ქდმ. მათ 2003 წელს ჩატარებულ რეფერენდუმს ფარსი უწოდეს.

საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრ ლევან ვეფხვაძის განცხადებით, 2003 წლის 2 ნოემბრის რეფერენდუმი სიყალბე იყო. „მედიანიუსთან“ საუბრისას იგი ფრაქცია – „ერთობა სამართლიანობისათვის“ წევრ დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებას გამოეხმაურა, რომელმაც დეპუტატების რიცხოვნობის 150-დან 190-მდე გაზრდაზე საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირებაში მონაწილე უმცირესობის წევრებს „მორალური პასუხისმგებლობა“ დააკისრა.

ვეფხვაძის განცხადებით, იგი ლორთქიფანიძისაგან განსხვავებით, პოლიტიკურ პოზიციას არ იცვლის და მიიჩნევს, რომ 2003 წელს რეფერენდუმი „რეფერენდუმი არ იყო“.

— ეს ყველაფერი იყო რეფერენდუმი რეფერენდუმის გარეშე. ის არჩევნები, რომელიც ჩატარდა, მაშინ ჩაითვალა, რომ გაყალბდა და რეფერენდუმი თურმე წესიერად ჩატარებულა. მაშინ, დამერწმუნება ბატონი ლორთქიფანიძეც, რომ ეს ასე იყო. მისგან განსხვავებით, პოზიციას არ ვიცვლი. მაშინაც მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ ეს იყო სიყალბე, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

მისი მოსაზრებით, უმჯობესი იქნება, თუ დიმიტრი ლორთქიფანიძე საკუთარ პოლიტიკურ მომავალზე იფიქრებს, რადგან პროპორციული ნიშნით დეპუტატთა რიცხოვნობის გაზრდა ძლიერი პოლიტიკური ცენტრებისა და ბლოკების შექმნას უწყობს ხელს.

— რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ვისაც შეიძლება, ხელს არ აძლევდეს დეპუტატთა რიცხოვნობის გაზრდა, როცა პროპორციულ პარტიულ სიებს 32 წევრი ემატება, ეს ხელისუფლებაა. მას მაჟორიტარი და პროპორციული სიით არჩეულ დეპუტატთა შეფარდების 75-75-ზე დატოვება სურს. თუკი ლორთქიფანიძე და მისი კოლეგები მიაღწევენ იმას, რომ ხელისუფლება მათ ე.წ. კრიტიკას და ამ შეფარდების 75-75-ზე დატოვებას დათანხმდება, ლორთქიფანიძის ფრაქცია პირველი იქნება, რომელიც ხელისუფლებას დეპუტატთა 190-მდე გაზრდას შეეხვეწება, სადაც 107 დეპუტატი სწორედ პროპორციული წესით აირჩევა, - აღნიშნა „მედიანიუსთან“ ლევან ვეფხვაძემ.

მისი განცხადებით, მან მორალური პასუხისმგებლობა აიღო კონსტიტუციაზე, რომელიც 2013 წლიდან შევა ძალაში.

— ვფიქრობ, ეს აქამდე არსებულთან შედარებით, ყველაზე კარგი კონსტიტუცია იქნება. პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც შედგა და პროპორციული წესით დეპუტატთა ოდენობის 107-მდე გაზრდა ყველაზე სწორი გამოსავალი იყო, — განუცხადა „მედიანიუსს“ ლევან ვეფხვაძემ,

# თქვენს შვილს სკოლიდან ისე გარიცხავენ, არც გაგაფრთხილებენ!

შალვა ჯოხაძე

რა ხდება სკოლებში? საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებულ სკანდალებს ბოლო არ უჩანს. ამჯერად, სახალხო დამცველი, გიორგი ტუღუში ალაპარაკდა. ტუღუშმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დიმიტრი შაშკინს, თბილისის 53-ე საჯარო სკოლაში მომხდარი ფაქტი შეისწავლოს და მიხეილ ალექსიძის დარღვეული განათლების უფლების აღდგენა უზრუნველყოს. ასევე, შესაბამისი თანამდებობის პირების მიმართ კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები განახორციელოს.

საქმე ისაა, რომ 19 ოქტომბერს, სახალხო დამცველს ლალი ლეკიშვილმა მიმართა განცხადებით, რომელიც აღნიშნავდა, რომ მისი შვილი მიხეილ ალექსიძე №53-ე საჯარო სკოლიდან საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გაირიცხა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრმა ამ განცხადების შესწავლა დაუყოვნებლივ დაიწყო, ვინაიდან, განმცხადებლის ცნობით, მიხეილ ალექსიძეს 13 ოქტომბრიდან განათლების უფლება აქვს შეზღუდული.

სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, ახსნა-განმარტებებისა და განმცხადებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ 13 ოქტომბრიდან დარღვეულია მოსწავლე მიხეილ ალექსიძეს განათლების მიღების უფლება, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების კონვენციის 28-ე მუხლით.

— თბილისის 53-ე საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე მიხეილ ალექსიძის სკოლიდან გარიცხვის საკითხის განხილვა მოხდა მიხეილ ალექსიძისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის დაუსწრებლად, ხოლო მათი ინფორმირება დისციპლინური კომიტეტის სხდომის ჩატარების შესახებ არ დასტურდება ოფიციალური დოკუმენტაციით. შესაბამისად, სახეზეა გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლების დარღვევა. ბავშვის უფლებაა, მისი აზრი მოსმენილ იყოს სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, მათ შორის, განათლების პროცესში დისციპლინური წარმოების დროს.

საქმეში არსებული მასალები ადასტურებს, რომ დისციპლინური დევნა არ განხორციელდა ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურების დაცვით; კომიტეტის ყველა წევრმა განაცხადა, რომ სკოლის დირექტორის ახსნა-განმარტების გარდა, სხდომაზე სხვა სახის მტკიცებულება არ წარმოდგენილა, რომელიც დაადასტურებდა მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტს. საქმეში არსებული ახსნა-განმარტებები მოწმობს, რომ ადგილი ჰქონდა სკოლის დირექტორის მხრიდან კომიტეტის წევრებზე ზეწოლის ფაქტს. გადაწყვეტილება მიხეილ ალექსიძის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე არ იყო დასაბუთებული და დისციპლინური კომიტეტის მიერ მოსწავლის მიმართ, სკოლიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეიძლება ჩაითვალოს არათანაზომიერად, — აცხადებს ტუღუში.



გიორგი ტუღუში

ომბუდსმენის თქმით, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, ბრძანება მე-11 კლასის მოსწავლის მიხეილ ალექსიძის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ გამოსცა დირექტორმა. აღნიშნული ბრძანება ეწინააღმდეგება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტს, რომლის თანახმადაც მხოლოდ სკოლის დისციპლინური კომიტეტია უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის თაობაზე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის დირექტორის ზემოთ მითითებული ბრძანება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, ვინაიდან გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

# საქართველოში ბევრი პოლიტპატიმარია

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ გელა ნიკოლაიშვილთან

***— ბატონო გელა, მოგეხსენებათ 23 ნოემბერს გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით სააკაშვილმა პატიმრები შეიწყალა. თუ იცით, მათ შორის არიან ის პირები, რომლებიც წლების განმავლობაში ხელისუფლებამ უსამართლოდ დააპატიმრა და მათი გათავისუფლების საკითხს ქართველი საზოგადოება ხშირად მოითხოვდა?***

— არა, შეწყალებულებს შორის ასეთები ნამდვილად არიან..

***— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება რატომ არ მოდის კომპრომისზე საზოგადოებასთან და მის მიერ უსამართლოდ (შეთხზული, რაღაც აბსურდული ბრალდებებით) დაპატიმრებულებს არ ათავისუფლებს?***

— ხელისუფლება საზოგადოებასთან კომპრომისზე იმიტომ არ მიდის და უსამართლოდ დაპატიმრებულებს არ ათავისუფლებს, რომ ხელისუფლების პოლიტიკაა ასეთი. მისი მიეღებელი პირები, რომლებიც მისთვის წარმოადგენენ გარკვეულ პოლიტიკურ საშიშროებას. ხელისუფლება პოლიტიკური მოტივებით მათ იზოლირებას ახდენს. აქედან გამომდინარე, ახდენენ იმ პოლიტიკური საფრთხეების (რომელიც, მათი ფიქრით, ასეთი პირებისაგან მომდინარეობს) თავიდან აცილებას, საკუთარი პოლიტიკური უსაფრთხოების მიზნით.

***— თქვენ, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველს ხშირად მოგმართავენ უსამართლოდ დაპატიმრებულთა ახლობლები. პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულებად ვის დაასახელებდით, ვინ ჰყავს ასეთებად ხელისუფლებას ციხეებში წარმოდგენილი?***

— პირად მე ვისაც ვიცავ, მათ შორისაც ბევრია პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულები. საერთოდ, ძალიან ბევრია პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა რაოდენობა. მაგალითად, არის პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ოთხი ადამიანი, რომელიც ე.წ. გიორგაძის მომხრეების საქმეში გადის. 12 კაცი იყო დაპატიმრებული. მათგან 8 პირმა სრულად მოიხადა სასჯელი და დარჩა მხოლოდ ოთხი. ესენი არიან, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, რამაზ სამნიძე, კახაბერ ქანთარია და მაია თოფურია, რომელსაც მათ შორის ყველაზე მეტი სასჯელი აქვს მისჯილი, რვა-ნახევარი წელი. მისი პატიმრობიდან 5 წელი და 3 თვე უკვე გასულია. მათი უმრავლესობისთვის პატიმრობიდან სამი მეოთხედიც უკვე შესრულდა, მაგრამ დღემდე ისინი არ არის გათავისუფლებული მაშინ, როდესაც გირგვლიანის მკვლელებს ჯერ შეუჩერეს, შემდეგ შეახეს ვადამდე პირობითი გათავისუფლება და შეიწყალეს.

***— ჟორჟოლიანი ხომ არ გათავისუფლებულა?***

— არა. თეიმურაზ ჟორჟოლიანი ორი დღის წინ ვნახე. 7 დეკემბერს უსრულდება სამი მეოთხედი და ეხება ვადამდე ადრე გათავისუფლება. ასე პოლიტიკური პატიმრები არიან ლევან გოგიჩაიშვილი, მელორ ვაჩნაძე, გიორგი ალხაზიშვილი, ლევან ლოლიაშვილი, ბათუ საღინაძე. საერთოდ, ბათუ საღინაძესთან დაკავშირებით კურიოზული მდგომარეობაა. მას ეხებოდა არა მხოლოდ ორი მესამედი, სამი მეოთხედი მოხდილი და ამ გზით გათავისუფლება, არამედ იგი არის უკვე 75 წლის. როდესაც 70 წელს გადაცილებულს მოხდილი აქვს სასჯლელის ნახევარზე მეტი, ის გათავისუფლებას ექვემდებარება. ბათუ საღინაძემ 7 წლიდან მან უკვე მოიხადა ხუთ-ნახევარი წელი და ერთ-ნახევარი წელი დარჩა, მაგრამ მას გათავისუფლებაზე უარს ეუბნებიან.



გელა ნიკოლაიშვილი

***— მოდით- გავიხსენოთ, რა აბსურდული ბრალდებებით ჰყავს ეს ხალხი სააკაშვილს დაპატიმრებული?***

— ეს ადამიანები სხვადასხვა ბრალდებებით არიან დაპატიმრებულები. ზოგს პირდაპირ პოლიტიკური ბრალდება აქვს. ჟორჟოლიანს, თოფურიასა და სხვებს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდება აქვს, ზოგს — პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ზოგს — უფლებამოსილების გადამეტება, უკანონოდ იარაღის ტარება, ზოგსაც ნარკორიკებთან დაკავშირებით, რომელსაც უდებენ. მაგალითად, ასეთია მერაბ რატიშვილი, ცნობილი პოლიტიკური პატიმარი. ასეთები ათეულობით არიან. მათი რიცხვი თითქმის ასს უახლოვდება. ამიტომ თუ ვინმე გამოგვრჩა, მათთან ბოდიშს ვიხდი. უბრალოდ, ერთ ინტერვიუში ყველა პატიმრის ჩამოთვლა შეუძლებელია.

***— ფაქტია, რომ ამ ხელისუფლებას ბევრი პოლიტიკური პატიმარი ჰყავს და ამ ნიშას ვერ გასცდა?***

— დიახ, თანდათან მახსენდება მათი გვარები: პავლე ბლიაძე, ზაალ ჟვანია, კოტე ლომიძე და მერაბ მაისურაძე. კოტე ლომიძე და მერაბ მაისურაძე, ეს ის პიროვნებები არიან, რომლებმაც ცნობილი აქციების შემდეგ დატოვეს ნაციონალური მოძრაობა. მათ ცნობილი აქციების დროს საჯაროდ დახიეს მანდატები. ამიტომ სასწრაფოდ შეუთხზეს თაღლითობის მუხლი.

***— მაინც, რატომ ვერ აიცილა პოლიტიკური დაპატიმრებები სააკაშვილის ხელისუფლება? მოგეხსენებათ, შევარდნაძის ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი იყო პოლიტიკური პატიმრების ყოლა. მას ჰყავდა ბევრი პოლიტიკური პატიმარი და მათი გათავისუფლების მოთხოვნით მთელი ევროპა უკიჟინებდა. სააკაშვილიც შევარდნაძის პოლიტიკურ წიაღში გაზრდილი პოლიტიკოსია და შევარდნაძეზე ვერ წავიდა?***

— სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ შევარდნაძეს თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში პოლიტიკურ პატიმრებად ძირითადად ე.წ. ზვიადისტები ჰყავდა. 1995 წლის შემდეგ, როდესაც პოლიტიკა შეიცვალა, ძირითადად მათ დაემატათ მხედრიონელები, მაგრამ შევარდნაძემ თავისი მოღვაწეობის დასასრულს – 2000-2001 წელს თითქმის ყველა პოლიტიკური პატიმარი გაათავისუფლა. ფაქტობრივად, 2002-2003 წლებში პოლიტიკური პატიმარი აღარ არსებობდა. შევარდნაძე ექვემდებარებოდა დასავლეთისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა ზეწოლას, იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ უნდა ჰყოლოდა პოლიტიკური პატიმრები და ანგარიშს უწევდა ამას. ვინაიდან დღევანდელი ხელისუფლება დასავლეთში ცნობილი იყო, როგორც დემოკრატიის შუქურა, თავისი პროპაგანდისტული, დაქირავებული პიარკომპანიების საშუალებით ასეთი იმიჯი შეექმნა, დასავლეთის საზოგადოება თავს იკავებდა ისეთი აგრესიული მოთხოვნებისაგან, როგორც შევარდნაძის მიმართ ხდებოდა. თუმცა, ბოლო ხანს, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებამ ნიღაბი ჩამოიხსნა, დასავლეთის ძალიან ბევრი ორგანიზაცია პირდაპირ ამბობს, რომ საქართველოში ანტიდემოკრატიული რეჟიმია. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას თანდათან უფრო უჭირს ჩვენს ხელისუფლებას, რომ ფასადური დემოკრატია შეაჩეჩოს დასავლეთს და დააჯეროს თავის დემოკრატიულობაში. თუმცა, ჯერჯერობით გარკვეულწილად მაინც ახერხებს იმას, რომ დასავლეთმა საქართველოში არსებული მდგომარეობა ლუკაშენკოს დონეზე არ შეაფასოს. აქედან გამომდინარე სააკაშვილი და მისი რეჟიმი ჯიუტად ინარჩუნებს მოქალაქეების პოლიტიკური ნიშნით დევნის სტრატეგიას. ამიტომ არაერთი პოლიტიკური პატიმარი ჰყავს.

***— როგორც ჩანს, ნაციონალებს ახალგაზრდული ენერგია აძლევთ იმედს და ამიტომ თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ბოლოს ჯერ ვერ ხედავენ, ხელისუფლებიდან წასვლას არ ფიქრობენ, რეპრესიებსა და პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაპატიმრებებსაც განაგრძობენ.***

— ნაციონალები ხელისუფ;ლებიდან წასვლას, ცხადია, არ ფიქრობენ. სააკაშვილსა და მის ჯგუფს მათ იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომ მათი ხელისუფლებიდან წასვლა ნიშნავს არა სახლში მშვიდად დაჯდომას, არამედ ძალიან ბევრი მათგანის პირდაპირ ციხეში წასვლას. მათ მიერ ჩადენილია უკანონო ქმედებების მთელი კასკადია ჩადენილი ან პირდაპირ, ან მათი დავალებით, მათი ქვეშევრდომების მიერ. ბუნებრივია, როცა მათი ქვეშევრდომი დამნაშავეები დამნაშავის სკამზე დასხდებიან, ისინი დაასახელებენ იმ ხალხს, რომლებიც დანაშაულებრივ ბრძანებებს იძლეოდნენ. ამიტომ ჩვენს პოლიტიკურ ბელადებსაც მოუწევთ დამნაშავის სკამზე დაჯდომა. ამიტომ ებღაუჭებიან ნაციონალები სახელისუფლებო სავარძლებს.

***— ბატონო გელა, ბათუ საღინაძეს რა მიზეზით უთხრეს უარი გათავისუფლებაზე?***

— არანაირი მიზეზი არ უთქვამთ.

***— საღინაძეს გათავისუფლებაზე უარი იმიტომ ხომ არ უთხრეს, სტრასბურგში ერთ საქმეზე პროცესი მოიგო და მეორეზე აქვს კიდევ შეტანილი?***

— ბათუ საღინაძეს თავიდან ეუბნებოდნენ ისეთ ფორმალურ პასუხებს, რასაც ყველას — სასჯელის მიზანი მიღწეული არ არის და პირობითაც ვერ გაგათავისუფლებთო. ახლა ახალი წესი შემოიტანეს და კრიტერიუმები აქვთ — დანაშაულის სიმძიმე, ოჯახური მდგომარეობა, დახასიათება, წარსულში ნასამართლობა, რომლის მიხედვითაც ბათუ საღინაძე ყველანაირად ექვემდებარება გათავისუფლებას. ამას პლიუს ის 75 წლის არის. ამიტომ ისინი პასუხს დეტალურად ველარ წერენ. ამიტომ საერთოდ არ იხილავენ ბათი საღინაძის საკითხს და არც პასუხს იძლევიან. სტრასბურგის სასამართლოში მისი მოგებული საქმე და ის ფაქტი, რომ ის არ დაეთანხმა თავისი კოტეჯის ნაცვლად სხვა სახლს. ბათუ საღინაძეს წართმეული კოტეჯის ნაცვლად, რომელიც მდებარეობდა ავჭალაში, შესთავაზეს ხობის რაიონის რომელიღაც სოფელში მინგრეული სახლი. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, საღინაძისთვის ან უნდა დაებრუნებინათ კოტეჯი, ან ადეკვატური ალტერნატივა შეეთავაზებინათ. ხელისუფლებამ ადეკვატურ ალტერნატივად ჩათვალა სწორედ ხობის რაიონის რომელიღაც სოფელში მინგრეული სახლის გადაცემა, რომლის ღირებულება წართმეული კოტეჯის ღირებულებასთან შედარებით ასი ერთთანაა. რადგან საღინაძემ შეთავაზებაზე უარი თქვა, ხელისუფლება გაღიზიანდა. 15 ათასი ევრო მას აუნაზღაურეს, მაგრამ რადგან კოტეჯთან დაკავშირებით არ დათანხმდა და აგრძელებს ბრძოლას სტრასბურგში სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რათა სრულად იქნეს გამართლებული, არ აღიარებს დანაშაულს, ამიტომ მის მიმართ ხელმეორედ დაიწყო რეპრესიები და უკანონობა.

---

# თურქეთმა სირიას სანქციები დაუწესა

სირიის ყოფილმა ახლო მოკავშირემ, თურქეთმა გამოაცხადა, რომ დამასკოს წინააღმდეგ სანქციების შემოღებას აპირებს. თურქეთის ეს გადაწყვეტილება სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის მიერ ანტისამთავრობო გამოსვლების ჩახშობის გამო მიიღო.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახმეტ დავუთოღლუმ პრესკონფერენციის დროს განაცხადა, რომ მისი ქვეყანა წყვეტს კავშირს სირიის ცენტრალურ ბანკთან, ყინავს სირიის მთავრობის აქტივებს და დამასკოსათვის იარაღით დახმარებას წყვეტს.




დავუთოღლუს თქმით, ბაშარ ასადმა შეცდომა დაუშვა, როდესაც ყურადღება არ მიაქცია საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოწოდებას დემონსტრანტების მიმართ ძალადობის შეწყვეტის შესახებ.

როგორც თურქმა მინისტრმა განაცხადა, სირიათან თანამშრომლობის შეთანხმება შეჩერებულია მანამდე, სანამ დამასკოში ხელისუფლების სათავეში ახალი მთავრობა არ მოვა.

დავუთოღლუმ განაცხადა, რომ სირიის მიმართ დაწესებულმა სანქციებმა თურქეთში სირიელი ლიდერების სტუმრობაც შეიძლება მოიცვას.

თურქი მინისტრის თქმით, დემონსტრანტების მიმართ ძალადობის გამოვლენით სირიის მთავრობა თავის ლეგიტიმურობას ანადგურებს და სირიის მთავრობამ ხელიდან გაუშვა უკანასკნელი შანსი, რომელიც მას ჰქონდა.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ სირია ძალადობის მანკიერ წრეში აღმოჩნდა.

თურქი მინისტრის გამოსვლამდე სირიის მიმართ სანქციების დაწესების შესახებ განცხადება არაბული სახელმწიფოების ლიგამაც გაავრცელა.

ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ნაბილ არაბიმ განაცხადა, რომ სირიის ხელისუფლებს არ შეუძლიათ ისე დაიჭირონ თავი, თითქოს ქვეყანაში განსაკუთრებული არაფერი ხდება. მისი თქმით, ლიგა სანქციებს უხალისოდ დათანხმდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ბაშარ ასადი დაპირებებს არ შეასრულებს, სანქციები ძალაში შაბათიდან შევა.

გაეროს შეფასებების თანახმად, მიმდინარე წლის მარტის შემდეგ სირიაში ანტისამთავრობო გამოსვლების ჩახშობის შედეგად სამართალდამცავებთან შეტაკებების დროს 3500-მდე ადამიანი დაიღუპა.

ბაშარ ასადი მომხდარ არეულობებში მეამბოხე ისლამისტების შეიარაღებულ ბანდებს ადანაშაულებს.

მსხვერპლის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის შემოწმება ძალიან ძნელია, რადგან უცხოელ ჟურნალისტებს სირიაში მუშაობის შესაძლებლობას არ აძლევენ.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

---

# დავით უსუფაშვილს აინტერესებს, ვინ აფინანსებს ეროსი კიწმარიშვილის ქმედებას

რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი „მაესტროსთან“ დაკავშირებულ ინციდენტს „იმ




უბედურების გაგრძელებას“ უწოდებს, რაც „მედიასთან დაკავშირებით ხდება საქართველოში“.

უსუფაშვილს აინტერესებს, ვინ აფინანსებს ეროსი კიწმარიშვილის ამ ქმედებას.

„დანარჩენი ყველაფერი ნათელია, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოვიდეს აზრზე, პირველ რიგში, ხელისუფლება, ასევე ყველა, ვისაც საზოგადოებრივ საქმეში რაიმე ეთქმის,“– განაცხადა „მაესტროსთან“ მისულმა უსუფაშვილმა.

მისი თქმით, მედიის პოლარიზება ძალიან ცუდად დამთავრდება.

ცნობისთვის: დღეს გამთენიისას „მაესტროს“ მმართველო კომპანიის დამფუძნებელმა ათ უცნობ პირთან ერთად დაიკავა ტელეკომპანიის შენობა და იქ მისული თანამშრომლები და დამფუძნებლები არ შეუშვა.

მისი თქმით, მან დაითხოვა ტელეკომპანიის დირექტორი და გენერალური პროდუსერი. გუშინ დილიდან „მაესტროს“ ეთერი გათიშული იყო და ის ცოტა ხნის წინათ ჩაირთო.

**მედიანიუსი**

---

# „სახალხო კრება“ „მაესტროში“ განვითარებული მოვლენების გამო შეშფოთებულია

„სახალხო კრება“ „მაესტროში“ განვითარებული მოვლენების გამო შეშფოთებას გამოთქვამს, — ამის შესახებ კრების აღმასრულებელი საბჭოს განცხადებაშია ნათქვამი

„სახალხო კრების“ შეფასებით, არავის აქვს უფლება, ხელი შეუშალოს ჟურნალისტებს პროფესიულ საქმიანობაში. „ტელეკომპანია „მაესტრო“ არის ერთ-ერთი, ქვეყანაში მოქმედი იმ თითზე ჩამოსათვლელ ობიექტურ მედიასაშუალებათაგანი, რომელიც არსებული რეჟიმის პირობებშიც ახერხებს და საზოგადოებამდე ობიექტური ინფორმაცია მიაქვს“, — ნათქვამია განცხადებაში.

კრების აღმასრულებელი საბჭო მოუწოდებს ტელეკომპანიის დამფუძნებლებსა და მმართველ კომპანიას, სადავო საკითხები მოლაპარაკების გზით გადაწყვიტონ, ხოლო ჟურნალისტებს დაუყოვნებლივ მიეცეს საშუალება, რათა ისინი სრულფასოვანი მუშაობის რეჟიმს დაუბრუნდნენ.

**ინტერპრესნიუსი**

---

# „ეროვნული საბჭო“ „მაესტროს“ ხელმძღვანელობას და ეროსი კიწმარიშვილს სამართლებრივი დავის ტელევიზიის გარეთ განხილვისაკენ მოუწოდებს

„ეროვნული საბჭო“ ტელეკომპანია „მაესტროს“ ხელმძღვანელობას და ეროსი კიწმარიშვილს სიტუაციის განმუხტვისა და ნებისმიერი სამართლებრივი დავის ტელევიზიის გარეთ განხილვისაკენ მოუწოდებს. როგორც „ეროვნული საბჭოს“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების საშუალება დაუყოვნებლივ უნდა მიეცეთ.

„საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისთვის აუცილებელია თავისუფალი მედიის არსებობა და „მაესტრო“ ერთ-ერთი ტელევიზიაა, რომელიც ცდილობს, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები საქართველოს თითოეულ მოქალაქეს მიაწოდოს“, — ნათქვამია „ეროვნული საბჭოს“ განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# ვახუშტი კოტეტიშვილს წიგნი მიუძღვნეს

ეკა ირემაშვილი

**საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში წიგნის „კაფია-გალექსებანი“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც ვაჟა-ფშაველას 150 წლისთავსა და ვახუშტი კოტეტიშვილისა და მისი სახელობის ზეპირსიტყვიერების საღამოების გარდაცვლილ მონაწილეთა ხსოვნას მიეძღვნა. „კაფია გალექსებანის“ შემდგენლები არიან გიგი ხორნაული და ნანა კოტეტიშვილი. მხატვარი — ზურაბ ნიჟარაძე, რედაქტორი — მზექალა (მზეო) გოგოჭური, ტექნიკური რედაქტორი — ნინო ბურდული.**


ვახუშტი კოტეტიშვილი

კრებულის პრეზენტაციაზე შეიკრიბნენ მისი შემდგენლები, ხალხური ზეპირსიტყვიერების მოყვარულნი და მიწვეული საპატიო სტუმრები. ღონისძიება საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მხარდაჭერით გაიმართა. როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების სპეციალისტმა ეთერ თათარაიძემ კრებულის წარდგინებაზე განაცხადა, ეს უკვე ხალხური კაფიების მეოთხე გამოცემაა, რომელიც წინა კრებულებში განთავსებული გალექსებანის საუკეთესო ნიმუშების აერთიანებს.

— ვისაც ხუმრობისა და სიცილის განწყობა აქვს, ის ძალიან დიდ სიამოვნებას მიიღებს. მგონია, რომ თანამედროვე თაობა ამ ყველაფერს ცოტა დაშორდა, მაგრამ ვისაც ლექსისა და სიტყვიერების ნიჭი აქვს, ის ნებისმიერ დროს პირველი გადაშლისთანავე იგრძნობს სიახლოვეს იმ ფილოსოფიასთან, რაც აქ დევს. ეს მსოფლმხედველობაა იმ ადამიანებისა, ვინც ამქვეყნიურ გაჭირვებასა და ცხოვრებას ზემოდან უყურებს. ისინი დასცინიან ყველაფერს, რაზეც სხვები დეპრესიაში ვარდებიან, — ასეთია კრებულის შემდგენელთა პოზიცია.

კრებულში შეტანილია ის ლექსად თქმული კაიფები, რომლებიც მკითხველს გააცნობს, თუ როგორ უმკლავდებოდნენ გაჭირვებასა და ათასგვარ უბედურებას ქართველები სხვადასხვა დროს.

— მასალა ძალიან დიდი იყო, საიდანაც საუკეთესო კაფიები ამოვარჩიეთ და ერთ წიგნად გავაერთიანეთ. კაფიაობა ფშავური ტრადიციაა. ჭირისა და ლხინის სუფრაზე სხვადასხვა სახის კაფიაობა ხდება ხოლმე, ჩვენ მასალის მოსაპოვებლად ექსპედიციებში დავდიოდით და ასე, თანდათან, შევაგროვეთ ყველაფერი. შემდეგ შევეცადეთ საუკეთესოები ამოგვერჩია, რომ წიგნი ძალიან დიდი არ გამოსულიყო. წიგნში ვახუშტი კოტეტიშვილის ბევრი კაფიაცაა შესული, ზოგიერთი სათქმელად უხერხულია, მაგრამ წასაკითხად ძალიან სასაცილო, — აღნიშნა კრებულის პრეზენტაციაზე მისმა ერთ-ერთმა შემდგენელმა ნანა კოტეტიშვილმა.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელმა ეთერ თათარაიძემ განმარტა, რომ წიგნის პრეზენტაციისთვის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი შემთხვევით არ შერჩეულა, ამ ყველაფერს სიმბოლური დატვირთვა აქვს.

**ეთერ თათარაიძე, ფოლკლორისტი:**

— ეს ყველაფერი ქართული ფოლკლორია და ერთმანეთს ეხამება, არც ისაა შემთხვევით, რომ დარბაზში ქართული ფარდაგებია გამოფენილი, როგორც ლექსში არის მოარული სიუჟეტები, ასევეა ფარდაგშიც. ამ კაფიებში ლექსად ნათქვამი სიმართლეა. ისინი ხშირად ექსპრომტად იქმნებოდა. ჩვენ შევეცადეთ შეგვექმნა ქართული, თბილი და მეგობრული გარემო.

***— ეს კაფიების გამოცემის პირველი შემთხვევა?***

— არა. ამ ლექსში რჩეული კაფიებია შეტანილი. მათ შორის ვაჟა-ფშაველასა და მისი ძმის, ბაჩანას შინაური გალექსებანიც არის შეტანილი. პირველად კაფიები ვანო ხორნაულმა, გიგი ხორნაულის მამამ გამოსცა. რამდენიმე წლის შემდეგ კაფიები აპოლონ ცანავამ გამოსცა, შემდეგ კი გამოვიდა ფშაური კაფიები გიგი ხორნაულის მიერ. ჩვენ მიერ წარმოდგენილ კრებულში სამივე გამოცემიდან რჩეული კაფიებია შერჩეული და ერთ წიგნად არის აკინძული. ასე რომ, 1939 წლიდან მოყოლებული კაფია-გალექსებების სამი გამოცემა გამოვიდა, დღევანდელი წიგნი კი მეოთხეა, სადაც ყველა გამოცემიდან ამოკრეფილი საუკეთესო ნიმუშებია შესული.

**მზეო გოგოჭური, კრებულის რედაქტორი:**

— ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ის ხედვა, რაც კაფიებში და გალექსებებშია, მივიდეს საზოგადოებასთან ახლოს. ეს მათ დაეხმარებათ ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვაში. მათში არის დიდი იუმორი, სხარტი გონება და ყველაგვარი გაჭირვების და უბედურების გაუბრალოება. ადამიანები ამ კაფიებში ხუმრობენ საკუთარ თავზე, მეგობრებზე, ოჯახის წევრებზე, მაგრამ ეს არ არის დაცინვა, ეს ლექსად ნათქვამი სიმართლეა. ამიტომაც არის, რომ ეს კაფიები საწყენი არ არის.

***— ბატონი ვახუშტის კაფიები როგორ შეარჩიეთ?***

— ვახუშტის ჰქონდა კაფიები, როგორც უწმაწური, ასევე ჩვეულებრივი. წიგნის შემდგენლებმა მის კაფიებშიც შეარჩიეს საუკეთესოები და კრებულში შეიტანეს.

***— უწმაწური კაფიები არის?***

— დიახ, არის. ისინი ხმამაღლა სათქმელად ცოტა უხერხულია, მაგრამ მკითხველისთვის მათი წაკითხვა, საკმაოდ სასაცილო იქნება.

წიგნი „კაფია გალექსებანი“ გამომცემლობა „მწიგნობარმა“ გამოსცა. კრებულის შემდგენელთა განცხადებით, ის მაღაზია „პარნასში“ გაიყიდება და 14 ლარი ეღირება.

# ბიეთის საკურთხეველში დროებითი გადახურვა მოეწყო

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, ბიეთის ტაძრის უძველეს ფრესკებზე კირხსნის ქიმებითა და წერტილოვანი გამაგრების მეთოდით, გადაუდებელი სამუშაოები განხორციელდა. საკურთხევლის უძველესი მხატვრობის შენარჩუნებისა და შემდგომი დაზიანებების თავიდან ასაცილებლად მოეწყო საკურთხევლის დროებით გადახურვა.

— XIII-XIV საუკუნეებში აშენებული გუმბათიანი ტაძარი ბიეთი მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადის წინუბნის წყლის ხეობაშია. ძეგლი ახალციხისკენ მიმავალ გზაზე სოფელ აგარისა და წინუბნის მახლობლად მდებარეობს. ბიეთი აღმართულია სრულიად განმარტოებულ, დასახლებისგან მოშორებულ ადგილზე. ბიეთი ეკლესიის და მისი მიმდებარე ადგილის ტოპონიმია. ტაძარი ფიჭვებით გარშემორტყმულ ცხოველხატულ მდელოზეა აგებული. ტაძრის სამხრეთით სამრეკლოც მდგარა. ბიეთს ექვთიმე თაყაიშვილი გაეცნო, ამ დროს დაზიანებული ტაძარი ჯერ კიდევ გუმბათიანად იდგა. 1932 წელს ტაძარი მკვლევრებს უკვე ჩაქცეული დახვდა. ტაძარი თლილი ქვითაა ნაგები, მასში ორი შესასვლელია, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. სამხრეთის კარის წინ კარიბჭე იყო მოწყობილი, დღეს მისი მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი. დასავლეთის შესასვლელის გვერდებზე კრონშტეინებია, მაგრამ კარიბჭის კვალი არ შეიმჩნევა. ტაძრის გეგმაზე მკვეთრად გამოიყოფა აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძი. გუმბათქვეშა სივრცეს ზომაზე დიდი ფართობი უკავია. გუმბათი, თორმეტწახნაგიანი, უჩვეულოდ განიერი გუმბათის ყელით, თავისუფლად მდგარ ჯვრული კვეთის ორ სვეტს ეყრდნობოდა. გუმბათის ყელს თავზე ორლილვიანი სარტყელი უვლიდა გარს, რომელსაც თორმეტწახნაგა კონუსური სახურავი ასრულებდა, — ნათქვამია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

დღეს ტაძრის მნიშვნელოვანი ნაწილი დანგრეულია. ჩამოშლილია გუმბათი, ადგილზე გადახურვის არც ერთი თაღი და კამარა აღარაა შემორჩენილი. აფსიდის ზედა ნაწილიც მორღვეულია. ტაძრის ინტერიერი სავსეა ჩამოშლილი გუმბათისა და გადახურვის ქვებით. ადგილზე გადარჩენილია მხოლოდ საკურთხევლის კონქი და პასტოფორიუმები. კედლებზე უნიკალური ფრესკებია შემორჩენილი, რომელთაც პირველადი გადაუდებელი სამუშაოები 2008 წელს ჩაუტარდა.

ბიეთისგან განსხვავებით, უკვე ჩაუტარდა გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჯვრის მონასტერს. ჯვრის მონასტერს სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები სხვადასხვა წლებში ჩაუტარდა, თუმცა მისი მდგომარეობა საუკუნეების განმავლობაში სულ უფრო დამძიმდა. ჯვრის უშუალო წინამორბედია ნინოწმინდის ტაძარი. ჯვარში განვითარებულია და მხატვრულად სრულყოფილია ნინოწმინდის კომპოზიცია. ჯვრის ტაძრის აგების შემდეგ კი ანალოგიური ძეგლებიც არის შექმნილი — ატენის სიონი, ძველი შუამთა, მარტვილი. წლების განმავლობაში ჯვრის კომპლექსისთვის ბევრი ზიანი იქნა მიყენებული, ბუნებით თუ ადამიანის ხელით და ამჟამად ის მსოფლიოს 100 განადგურების პირას მისულ უმთავრეს კულტურულ ძეგლთა შორისაა, — აღნიშნავს ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

საქართველოს კულტურული მემკვდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ძეგლთა დაცვის პოლიტიკის ახალი ეტაპი დაგეგმა — რესტავრირებულ ძეგლთა ხარისხის მონიტორინგს 2011 წლიდან საერთაშორისო ექსპერტები განახორციელებენ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის ინიციატივით, სწორედ მოწვეული სპეცილისტები, პრაქტიკოსი და თეორიტიკოს მეცნიერები განსაზღვრავენ უძველესი ძეგლების დიაგნოსტიკური ანალიზის ჩატარების მეთოდებსა და პრაქტიკული სამუშაოების შესრულების ტექნოლოგიებს. საქართველოში ვიზიტით მიკრობიოლოგი, საკონსულტაციო ლაბორატორიის „ბიოქონსალთის“ უფროსი დოქტორი თომას ვარშაიდი უკვე იმყოფებოდა. გერმანელმა პროფესორმა კედლის მხატვრობის უძველეს ნიმუშებზე უკვე განხორციელებული საკონსერვაციო პროექტების ხარისხი თავად შეამოწმა. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში თომას ვარშაიდმა ასევე განსაზღვრა შემდგომში დაგეგმილი პროექტების მეთოდები და შესრულების ეტაპები. პროფესორმა მოინახულა უბისის ყინცვისის, ატენის სიონის, ზემო კრიხის, ალავერდის, ნეკრესისა და გრემის ეკლესიები. თომას ვარშაიდი საქართველოს კულტურული მემკვდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ვიზიტის საანგარიშო დასკვნებს უახლოეს მომავალში გააცნობს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ კლდეში ნაკვეთი ძეგლების გადარჩენის პროგრამა შეიმუშავა. უფლისციხე, ვარძია, დავით გარეჯი — ამ კლდის უნიკალური არქიტექტურული ძეგლების გადარჩენისა და მათი შენარჩუნების მეთოდოლოგიას მსოფლიოს ცნობილი პეტრლოგები შეიმუშავებენ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციტივით და მოწვევით საქართველოში ვიზიტით მოდენა და რეგიო ემილიას სახელობის უნივერსიტეტის (რომი) დოქტორი, კიოტოს უნივერსიტეტის (იაპონია) ვიცე პრეზიდენტი, ინჟინერ-გეოლოგი კლაუდიო მარგოტინი ჩამოვიდნენ. ვიზიტის ფარგლებში იტალიელმა პეტროლოგმა ქართველ სპეცილისტებთან ერთად განსაზღვრა ძეგლებზე აუცილებელი და გადაუდებელი სამუშაოების შესრულების მეთოდები და ტექნოლოგია.

— კლდის ძეგლების შენარჩუნება და საკონსერვაციო სამუშაოების წარმოება ერთ-ერთი რთული პროცესია ყველა ქვეყანაში. კლაუდიო

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად. დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები. იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა. გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. ფასი 300-500 ლარამდე. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ქართულმა არმიამ გერმანიაში გაისროლა

**გიოტინგენი – არმია 61:69**

**(17: 19, 12: 25, 12: 11, 29: 14)**

**გიოტინგენი:** ევანსი (12), ბეილი (8), აჰელეგბე (12), ჰორნი (4), ნოხი (8), ვებერი (7), საიკსი (7), მარფა (3)

**არმია:** რიჩარდსონი (23ქ,5მ), ბოისა (6), კვიმსაძე, ტომასი (12ქ,13მ,), კიელბომი (11ქ,10მ,4დ), დიასი (4), საყვარელიძე (3), გეინსი (10ქ,6პ), ფრეიე, ჰოუკინსი

ევროჩელენჯის დებიუტანტმა „არმიამ" მეოთხე ტურის მატჩი გერმანიაში ჩაატარა და ადგილობრივი „გიოტინგენი" ძირითადად პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობის ხარჯზე 69:61 დაამარცხა და შემდეგ ეტაპზე გასვლისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. ეს არმიელთა მესამე გამარჯვებაა 4 მატჩში, თუმცა ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არაფერია და მოდუნების უფლება არ აქვთ.

ქართულმა კლუბმა გერმანიაში გასამართი მატჩის წინ კიდევ ორი ლეგიონერი შეიმატა, თუმცა, ძირითადად მაინც იმ ხუთეულზე დაყრდნობა მოუწია, რომელსაც აქამდე მივეჩვიეთ – გეინსი, დიასი, რიჩარდსონი, ტომასი, შელბომი. ერთია, დიასმა ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად რიგრიგობით ჩნდებოდნენ ქართველი კალათბურთელები. ცხადია, ისევ ერთი და იგივე ხუთეულით თამაშმა ბოლოსკენ დაღი დაასვა „არმიას" თამაშს და საგრძნობი უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა. თუმცა, საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დასრულდა.

მატჩი პირველი მეოთხედი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და „არმია" მხოლოდ ბოლო წამზე დაწინაურდა – სანდიეტა გეინმა სირენასთან ერთად ისროლა და – 19:17.

მეორე მეოთხედიდან არმიელთა უპირატესობა მეთოდურად იზრდებოდა, ხოლო მესამე მეოთხედის შუაში კოტე ტუღუშის გუნდის ლიდერობამ მესამე 20 ქულას მიაღწია, რის შემდეგაც ყველაფერი ცხადი გახდა, თუმცა შეხვედრის ბოლო წუთებზე მასპინძლებმა ოდნავ გაიბრძოლეს და მაქსიმუმს, რასაც მიაღწიეს, ჩამორჩენის 5 ქულამდე შემცირება იყო. შესანიშნავად ითამაშეს არმიელთა ლეგიონერებმა – იოაკიმ კიელბომის კარგად დაწყებული საქმე ჯერემი რიჩარდსონმა შესანიშნავად გააგრძელა.

გერმანულმა კლუბმა მხოლოდ შეხვედრის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე შეძლო ანგარიშის 10 ქულამდე შემცირება (54:64), ხოლო საფინალო სირენამდე 1 წუთით ადრე კაილი ბეილის მიერ ჩაგდებულმა სამქულიანმა (57:64) მასპინძლებს მიზერული შანსები გაუჩინა. რიჩარდსონმა არმიელთა შეტევა უზუსტოდ დაagვირგვინა და გერმანულმა კლუბმა ვებერის ზუსტი სროლის შემდეგ, საფინალო სირენამდე 32 წამით ადრე ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირა. მორიგ შეტევაში გიოტინგენელები არმიელ უილიამ ტომასზე დაჯარიმდნენ და ამ უკანასკნელმა ორივე საჯარიმო ჩააგდო – 66:59 21 წამით ადრე.

ბოლო წამები მასპინძლებმა დროის მოგების მიზნით სულ წესების დარღვევებში გალიეს. დავით საყვარელიძის ზუსტი სამი საჯარიმოს შემდეგ ანგარიში არმიელთა სასარგებლოდ 69:61 გახდა, თამაშის დასრულებამდე 14 წამი იყო დარჩენილი და გიოტინგენელთა წვალებასაც წერტილი აქ დაესვა.

აქვე ვთქვათ, რომ ტომასმა 12 ქულას 13 მოხსნა წაამატა და ორმაგი დუბლის შესრულება მოახერხა, ისევე, როგორც შვედმა ცენტრმა იოაკიმ შელბომმა. ამ უკანასკნელის მონაგარი 11 ქულა და 10 მოხსნა იყო. მიუხედავად ამისა, სტუმართა რიგებში საუკეთესო ჯერემი რიჩარდსონი გახლდათ, რომელმაც 6-დან 5 სამქულიანი ჩააგდო და ჯამში 23 ქულა მიითვალა.

ამჯერად, ნაკლებშედეგიანი გახლდათ სანდიატა გეინსი, რომელიც ნბა-ში ლოკაუტის დასრულების გამო, არმიელებს დღე-დღეზე უნდა დაემშვიდობოს. ამერიკელმა კალათბურთელმა თამაშიდან 13-დან 4 ტყორცნა გამოიყენა და ათ ქულას დასჯერდა, თუმცა, თანაგუნდელებს 6 შედეგიანი პასი ჩამოურიგა.

როგორც უკვე გითხარით, „არმიამ" ოთხ ტურში მესამე გამარჯვება იზეიმა და ბ ჯგუფში მეორე პოზიცია გაიმყარა, პირველ ადგილზე კი სტამბულის „ბეშიქთაში" დარჩა, რომელმაც ჰოლანდიური „ლეიდენი" დერონ უილიამსის გარეშე 76:69 დაამარცხა. უილიამსი თურქულ კლუბს მხოლოდ ტრიბუნებიდან ამხნევებდა. სემიჰ ერდენმა და ზორან ერცეგმა კი ტრავმის გამო ვერ ითამაშეს, რის გამოც მასპინძლებსაც ძალიან გაუჭირდათ. სტამბულელებმა ჰოლანდიელები მხოლოდ დასკვნით მეოთხედში „გატეხეს", რომელშიც 23:14 იმარჯვეს.

„არმიას" ევროჩელენჯის მორიგი მატჩი 6 დეკემბერს, თბილისში, სწორედ „ბეშიქთაშის" წინააღმდეგ ელის და გამარჯვების შემთხვევაში, შემდეგი რაუნდის საგზურსაც გაინაღდებს, ხოლო თუ მარცხი განიცადა, დიდი ალბათობით, ყველაფერი, 13 დეკემბერს, ჰოლანდიაში „ლეიდენთან" გასამართ შეხვედრაში გადაწყდება.

**კოტე ტუღუში, „არმიას" მთავარი მწვრთნელი:**

– ძალიან გახარებული ვარ მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვებით. ჩვენ საკმაოდ დიდი სამუშაო გავწიეთ დაცვაში და „გიორტინგენს" მხოლოდ 61 ქულა ჩავაგდებინეთ. ჩვენ გარკვეული პრობლემები გვქონდა შეტევაში და ბევრი ბურთიც დავკარგეთ, მაგრამ დაცვაში თავგანწირულმა გარჯამ მიზნამდე მიგვიყვანა.

**ჯერემი რიჩარდსონი, „არმიას" ფორვარდი:**

– ეს იყო უდიდესი გამარჯვება ჩვენთვის. მეტოქე გუნდური თამაშის წყალობით დავამარცხეთ, დაცვაში ცოტა შეცდომა დავუშვით. „გიოტინგენი" ძლიერი გუნდია, სატურნირო ვითარება ადეკვატურად ვერ გამოხატავს ამ გუნდის შესაძლებლობებს.

**შტეფან მინაკი, „გიოტინგენის" მთავარი მწვრთნელი:**



– მეამაყება, რომ მიუხედავად დიდი ჩამორჩენისა, ჩემი გუნდი არ დანებდა და თამაშის ბოლოს წარმატების შანსიც ჰქონდა. მხოლოდ 20 წუთი აქტიური თამაშით მატჩს ვერ მოიგებ. საჭიროა, მთელი შეხვედრის განმავლობაში იყო მობილიზებული და თამაშში ყველაფერი ჩადო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბეშიქთაში | 4 | 4 | 0 | 370:303 | 8 |
| 2.არმია | 4 | 3 | 1 | 307:311 | 7 |
| 3.ლეიდენი | 4 | 1 | 3 | 278:307 | 5 |
| 4.გიოტინგენი | 4 | 0 | 4 | 302:336 | 4 |

**დარჩენილი თამაშები:**

**6 დეკემბერი:** არმია-ბეშიქთაში;
**7 დეკემბერი:** ლეიდენი-გიოტინგენი;
**13 დეკემბერი:** გიოტინგენი-ბეშიქთაში; ლეიდენი-არმია

# პსჟ-ს მწვრთნელად მაკელელეც განიხილება

საფრანგეთის ჩემპინატის ბოლო ტურში პსჟ-მ მარსელის „ველოდრომზე" გამანადგურებელი მარცხი იწვნია – 0:3. ამ წაგებამ კი პარიზული კლუბის მთავარი მწვრთნელის ანტუან კომბუარეს სკამი შეარყია. მოგეხსენებათ, ფრანგული კლუბი ბოლო პერიოდში ამბიციურობით გამოირჩევა და საამისოდ თვით დევიდ ბექჰემიც კი მიიწვია გუნდში, ამიტომ ასეთი ჩავარდნები კლუბის მეპატრონეებს არ აწყობთ.

ფრანგული მედია უკვე ღიად წერს, რომ კლუბის სპორტული დირექტორი ლეონარდო სერიოზულად დაფიქრდა, გუნდი დონეცკის „შახტარის" თავკაც მირჩა ლუჩესკუს ჩააბაროსო. ლეონარდოს აქამდეც ჰქონდა მცდელობა, რათა კომბუარეს შემცვლელი მოენახა. ყველაზე რეალური კარლო ანჩელოტის დანიშვნა იყო, მაგრამ იტალიელმა სპეციალისტმა საფრანგეთში მუშაობა იუარა. გუუს ჰიდინკის აგენტმა კი თავად დაადასტურა, რომ პარიზელთა მხრიდან წინადადება მიღებული ჰქონდა, მაგრამ ჩემი კლიენტი ახლა დასვენებას აპირებს და გადაწყვეტილებას იანვარში მიიღებსო.

როგორც ფრანგული პრესა წერს, თავაზიან უარს აცხადებს მირჩა ლუჩესკუც, რომელიც მიზეზად „შახტარში" დიდი გეგმების არსებობას ასახელებსო. ამ ყველაფრის შემდეგ ლეონარდო გაწბილებული რჩება, რადგან ამბიციურ კლუბს უკვე მეორე მწვრთნელმა უთხრა უარი. თუმცა, ლეონარდოს ახალი იდეა გაუჩნდა და თანაც ისეთი, რომ უარის თქმა გამორიცხული იქნება. თუ იანვარში ჰიდინკის დათანხმებაც არ გამოვიდა, მაშინ გუნდს კლოდ მაკელელე ჩაიბარებს, რომელსაც ამჟამად კლუბში სპორტული კონსულტანტის თანამდებობა უკავია.

ზემოთ ბექჰემი ვახსენეთ და ინგლისელმა ფეხბურთელმაც ფრანგულ კლუბთან ურთიერთობაზე კომენტარი უკვე გააკეთა.

36 წლის ფეხბურთელის თქმით, მას არჩევანის გაკეთება „პარი სენ-ჟერმენსა" და „გალაქსის" შორის უწევს და საბოლოო გადაწყვეტილებას დეკემბერში მიიღებს. მათი ვარაუდით, ბექზი ევროპაში დაბრუნებას მიანიჭებს უპირატესობას. ეს დასკვნა იქიდან გამოგვაქვს, რომ დევიდის მეუღლემ, ვიქტორია ადამს-ბექჰემმა სამი დღის წინ ოფიციალურად განაცხადა, რომ ისინი პარიზის გარეუბანში ფეშენებელური ბინის შეძენას აპირებენ და ეს იმას ნიშნავს, რომ დევიდი სათამაშოდაც საფრანგეთში გადავა.

თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ პსჟ დევიდს 2-წლიან კონტრაქტში 8 მილიონ ევროს სთავაზობდა, შემდეგ კი შეთავაზება იმავე ხანგრძლივობის კონტრაქტში 9 მილიონამდე გაიზარდა. ახლა კი ლაპარაკია, რომ აღნიშნულ 9 მილიონს ის 1,5 წელიწადში მიიღებს.

პსჟ „ნაპოლის" თავდამსხმელის, ედისონ კავანის გადაბირებაც სურს. ურუგვაელი ფეხბურთელის სანაცვლოდ, იტალიური კლუბი 75 მილიონი ევროს მიიღებს. ლეონარდოს თქმით, იანვრის სატრანსფერო სეზონში მათი მთავარი სატრანსფერო მიზანი სწორედ ურუგვაელია.

– პსჟ-ს ინტერესთა სფეროში ბევრი ფეხბურთელია, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მათგანი შეძლებს ჩვენი კლუბის მაისურის მორგებას. ჩვენს წინადადებაზე უარის თქმა ძნელია, – განაცხადა ბრაზილიელმა.

# ზოგისთვის კენჭი, ზოგისთვის – ლოდი

შვეიცარიის ქალაქ ნიონში მდებარე უეფას შტაბბინაში, 17 და 19 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა გაიმართა, რომელმაც ქართველი ახალგაზრდების მომავალი მეტოქეები გამოავლინა.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები მე-11 შესარჩევ ჯგუფში მოხვდა და ელიტ-რაუნდის საგზურისთვის ბრძოლა ხორვატ, ბოსნიელ და ავსტრიელ თანატოლებთან მოუწევს. ჩვენი ჯგუფის მატჩები 25-დან 30 მაისამდე ხორვატიაში გაიმართება.

ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი მომავალი წლის 3-15 ივლისს ესტონეთში ჩატარდება და მასპინძლებთან ერთად იქ მხოლოდ ელიტრაუნდის ჯგუფების გამარჯვებულები იასპარეზებენ.

2013 წლის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე საქართველოს 17 წლამდე ფეხბურთელთა მომავალი მეტოქეების ვინაობაც. ქართველები მე-3 ჯგუფში აღმოჩნდენ, სადაც ესპანელ, ინგლისელ და უკრაინელ თანატოლებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა. აქვე გეტყვით, რომ 17-წლამდელთა შესარჩევს საქართველო უმასპინძლებს. ჩვენი ჯგუფის მატჩები მომავალი წლის 26-31 მარტს გაიმართება, ხოლო ფინალურ ეტაპზე, რომელსაც 4-16 მაისს სლოვენია უმასპინძლებს, მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ.

– თქმა არ უნდა, რომ უძლიერესი ჯგუფია. რაიმე გამართლებაზე საუბარი ზედმეტია. მზადება დღეიდან უნდა დავიწყოთ. 21-28 იანვარს, მინსკში საერთაშორისო ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. ამის შემდეგ, კიდევ დავგეგმავთ ამხანაგურ თამაშებს. რა თქმა უნდა, მზადებას, პირველყოვლისა, ფეხბურთელებში ფსიქოლოგიური სამუშაოს გატარებით დავიწყებთ. მასპინძლები რომ ვართ, ფსიქოლოგიურად კარგია. თუმცა, მეეჭვება, ესპანეთისთვის მეტოქის მოედანზე თამაშს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. ეს დაგვანახეს კიდეც ქუთაისში. უდავოა, რომ ესპანელები ჯგუფის ფავორიტები არიან. თუმცა, იგივე ინგლისსა და უკრაინას ძლიერი გუნდები რომ ეყოლება, ეჭვი არ მეპარება, – აცხადებს 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი ვასილ მაისურაძე.

შეგახსენებთ, რომ ორივე შემთხვევაში, ფინალურ ეტაპზე შვიდი ქვეყნის ნაკრები გადის, რომელთაც მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი ემატება.

# კიდევ ორი ლეგიონერი არმიის სამსახურში

როგორც შეატყვეთ, საკალათბურთო კლუბ „არმიას" შემადგენლობაში ორი ახალი გვარია ჰოუკინსი და ფრეიე. ჰიუკინსი „გიოტიგენთან" მატჩისას პარკეტზე არ გამოჩენილა, ხოლო ფრეიემ სულ 8 წუთი ითამაშა და მხოლოდ 2 მოხსნას დასჯერდა. მოდით უფრო ახლოს გავიცნოთ ეს კალათბურთელები.

კლიფტონ ჰოუკინსი 30 წლის არის, „არმიაში" „მსახურამდე" პოლონეთში თამაშობდა – ჯერ გიორგი ცინცაძის ყოფილ გუნდ „სოპოტში", შემდეგ კი „პოზნანში". ამერიკელ გამთამაშებელს ევროპაში იტალიურ „კასერტაში", ხორვატულ „ცედევიტასა" და თურქული „ქონიაშიც" აქვს ნათამაშევი. ჰოუკინსს არც აზიური კალათბურთი დარჩენია გამოუკვლეველი და იაპონიშიც ისროდა ბურთს. კარიერის დასაწყისში კი, ნაკლებადცნობილ ამერიკულ გუნდებში ირიცხებოდა.

ჰოუკინსის გვერდით კიდევ ერთი უცნობი გვარია – მეტიუ ფრეიე. უცნობი ვთქვით, თორემ ამ კალათბურთელს ნბა-შიც აქვს ნათამაშები და თანაც ხან ქართველთა გვერდით, ხანაც ჩვენებურების შემცვლელად მიჰყავდათ გუნდში.

208 სმ სიმაღლის ცენტრს იმდენი ქვეყნა მოუვლია, ჯუმბერ ლეჟავასაც კი შეშურდებოდა – ურუგვაი, ლიბანი, პუერტო რიკო, აშშ, გერმანია, ჩინეთი... ამასთან, პუერტო რიკოში სხვადასხვა დროს ექვსჯერ მიბრუნდა.

იგი, როგორც პერსპექტიული ცენტრი 2004 წლის დრაფტზე „მაიამიმ" 53-ე ნომრად აირჩია. სწორედ მაშინ, როდესაც ვლადიმერ სტეფანიამ „მაიამიდან" „პორტლენდს" მიაშურა და მისი 50-ნომრიანი მაისური სწორედ ფრეიემ მოირგო. თუმცა, მაიამელებმა საზაფხულო ლიგის შემდეგ ტანმაღალი ამერიკელი „ნიუ ორლეანს" დაუთმეს. ფრეიემ ორლეანელთა მაისურით 23 მატჩი ჩაატარა, საშუალოდ 19.2 წუთში 4.0 ქულას, 2.7 მოხსნასა და 0.9 პასს აგროვებდა.

მიუხედავად იმისა, რომ 11 მატჩი სასტარტო ხუთეულში ჩაატარა, ფრეიემ ამერიკა დატოვა და ერთი წლით პუერტო რიკოს მიაშურა, თუმცა მალევე ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსმა" მიიწვია და ნბა-ს სეზონის სტარტზე 19 მატჩი ჩაატარა. ეს ის დრო იყო, როდესაც ზაზა ძირითადი ხუთეულის უცვლელი წევრი იყო და ფრეიეც ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ატარებდა დროს. მალე სათადარიგოთა სკამიდან ქართველის შემცვლელად კლუბის ხელმძღვანელობამ უკრაინელი სტანისლავ მედვედენკოს დამატება განიზრახა და ფრეიეს დაემშვიდობა. „ჰოქსში" მეტმა 19 შეხვედრა გამართა, საშუალოდ 7.7 წუთში 2.1 ქულასა და 1.3 მოხსნას ითვლიდა.

ამის შემდეგ ფრეიე აშშ-ში აღარ დაბრუნებულა. 2009 წელს იგი ლიბანში მოხვდა, სადაც „ბეირუთის" ღირსებას იცავდა და იმავე წელს ლიბანის ნაკრებში მიიპატიჟეს და ამ ქვეყნის ღირსება მეტიუ ფრეიემ 2009 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც დაიცვა.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. თასი**

| | |
|---|---|
| კარდიფი-ბლექბერნი | 2:0 |
| ჩელსი-ლივერპული | 0:2 |
| არსენალი-სიტი | 0:1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნლი-იფსვიჩი | 4:0 |
| დერბი-ბრაიტონი | 0:1 |
| ლესტერი-ბლექპული | 2:0 |
| მიდლსბრო-ვესტ ჰემი | 0:2 |
| მილუოლი-დონკასტერი | 3:2 |
| ნოტინგემი-ლიდსი | 0:4 |
| საუთჰემპტონი-ჰალი | 2:1 |
| უოტფორდი-ბრისტოლი | 2:2 |
| ჰარტპული-პრესტონი | 0:1 |
| რედინგი-პიტერბრო | 3:2 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-რაიო | 4:0 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ნაპოლი-იუვენტუსი | 3:3 |

**იტალია. თასი**

| | |
|---|---|
| პარმა-ვერონა | 0:2 |
| კატანია-ნოვარა | 2:3 |

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სპარტა-ემენი | 1:1 |

**კალათბურთი**

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| ნ.ნოვგოროდი-ატომერომუ | 96:51 |
| ვენტსპილსი-ხიმიკი | 81:55 |
| პროშტეევი-გოვერლა | 78:64 |
| ენკომი-ედირნი | 70:67 |
| ბეშიქთაში-ლეიდენი | 76:69 |
| ნორჩიოპინგი-ფუელაბრანდა | 79:119 |
| გიოტინგენი-არმია | 61:69 |
| პინარი-ტურკ ტელეკომი | 81:83 |
| ერტლანდი-კერავნოსი | 93:75 |
| ანტვერპენი-ენისეი | 73:69 |
| პო ორტეზი-შოლნოკი | 67:75 |
| როანი-პარდუბიცე | 88:73 |
| აალსტი-ტრიუმფი | 83:84 |
| შალონი-მობიტელკო | 83:74 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბუფალო-აილენდერსი | 1:2 |
| ვაშინგტონი-სენტ ლუისი | 1:2 |
| კაროლინა-ფლორიდა | 1:3 |
| ვინიპეგი-ოტავა | 4:6 |
| ჩიკაგო-ფინიქსი | 1:4 |
| კალგარი-ნეშვილი | 1:0 |
| ვანკუვერი-კოლამბუსი | 4:1 |

# ირბ გვაფრთხილებს – ჩაფხუტი რაგბისთვის საზიანოა

რაგბის საერთაშორისო საბჭო (ირბ) სერიოზულად დაფიქრდა იმის თაობაზე, რომ თამაშისას მორაგბეებს მიერ ჩაფხუტის გამოყენება აკრძალოს. როგორც ირკვევა, ირბ შეწუხებულია იმ ფაქტით, რომ რაგბი სულ უფრო კარგავს თავის ვაჟკაცურ სულს და როგორც ვიზუალურად, ისე შინაგანი კულტურით, თანდათანობით ფეხბურთს ემსგავსება. კერძოდ კი, ირბ-ს არ მოსწონს მაისურების საყელოები და მიაჩნია, რომ ასე ფეხბურთელები იცვამენ. ასევე აკრიტიკებს მორაგბეთა საქციელს, წინააღმდეგია სხვადასხვა ფერის ბუცებით თამაშის, ლელოს გიჟურად აღნიშვნისა და ხელოვნური გარუჯვის. მოკლედ, ირბ შიშობს, რომ რაგბის იმიჯი ილახება, რაც გამოიწვევს სპონსორების, ტელევიზიების ინტერესის განელებას, შედეგად შემცირდება შემოსავლები, რაც რაგბის განვითარებისთვის დიდი საფრთხეა. გამოსავალში პოვნითსვის, ირბ-მ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანიც არის შეიმუშაოს მკაცრი კანონები, რითაც შესაძლებელი იქნება რაგბის იმიჯის გადარჩენა. ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად განსახილველი საკითხი სწორედ ჩაფხუტების თემა იქნება.

– რატომღაც რაგბის სამყაროში ჩაფხუტების მიმართ არამართებული დამოკიდებულება აქვთ. ზოგიერთი მორაგბე და ქომაგიც ფიქრობს, რომ ჩაფხუტი ეფექტური საშუალებაა მძიმე ტრავმისგან დასაცავად. ეს ასე არ არის. მას შეუძლია უმნიშვნელო ჭრილობისაგან და დალილავებისაგან დაგიცვას, მაგრამ ვერაფერს გახდება ისეთი დარტყმის წინააღმდეგ, რომელსაც ტვინის შერყევის გამოწვევა შეუძლია. ამიტომ, ვფიქრობთ, ის სრულიად ზედმეტია, – აცხადებენ ირბ-ს ანალიტიკოსები.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ᲑᲘᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲔᲚᲨᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲣᲠᲕᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მარგოტინი ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია, რომლის გამოცდილებით მსოფლიოს არაერთ ძეგლს შეუნარჩუნდა სიცოცხლე. კლაუდიო მარგოტინი ვიზიტის საანგარიშო დასკვნებს ვარძიის, უფლისციხისა და დავით გარეჯის მდგომარეობის შესახებ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს უახლოეს მომავალში გააცნობს, – ნათქვამია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილის უწყების ინიციატივითა და დაფინანსებით, ილია ჭავჭავაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ არმაზციხე – ბაგინეთის წარმართულ ძეგლზე 120 წლის წინ დაწყებული არქეოლოგიური კვლევები განახლდა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლის კვლევითი სამუშაოების ახალ ეტაპს ახორციელებს.

– არმაზის ციხე ძველი წელთაღრიცხვით IV-III საუკუნეებისა და ახალი წელთაღრიცხვით IV-V საუკუნეების ნამოსახლარია. აქ გამოვლენილი მასალა მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის იმ დროინდელი ქართლის ძველი დედაქალაქის, მცხეთის სამეფო რეზიდენციის – არმაზციხის შესახებ. არმაზციხეზე პირველი არქეოლოგიური სამუშაოები 120 წლის წინ ილია ჭავჭავაძის ინიციატივითა და ექვთიმე თაყაიშვილის მონაწილეობით განხორციელდა. მაშინ აღმოჩნდა I საუკუნის პოლიქრომული ფერწერის ნაშთი – ფრესკის ნატეხი ქალღვთაების გამოსახულებით, რაც ძალზედ იშვიათობაა ამ პერიოდისათვის. მომდევნო წლებში ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოები პერიოდულად მიმდინარეობდა. აკადემიკოსების სიმონ ჯანაშიასა და ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით გამოვლინდა სამეფო სასახლე – ე.წ. „სვეტებიანი დარბაზი“, რომაული ტიპის აბანო, ზღუდე-გალავნისა და ოთხკუთხა კოშკების ნაწილები, ქვათლილებით ნაგები სამეფო აკლდამის ნაშთი და ერთიანი ქვისაგან გამოთლილი ორფერდა სახურავიანი სარკოფაგი, რომელიც შეიცავდა ოქრომჭედლობისუმდიდრეს ნიმუშებს. ძეგლზე ასევე აღმოჩნდა ახალი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნეების ტაძარი მარნითურთ, რომაული ტიპის ორი აბანო, აუზი და ბერძნულ ენაზე შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც ქართლის (იბერიის) სამეფო კარზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე მოგვითხრობს, – ნათქვამია სპეციალურ განცხადებაში.

წელს არმაზისციხეზე არქეოლოგიური გათხრები საქარველოს ეროვნული მუზეუმის ექსპედიციამ კვლავ განაახლა. 1998 წელს გამოვლენილი ტაძრისა და მარნის დასავლეთით აღმოჩნდა ქვათლილებით ნაგები და როგორც ჩანს, კრამიტით დაბურული შენობები, სადაც დადასტურდა: მოზაიკური ფილები, კირხსნარისგან დამზადებული პროფილირებული არქიტექტურული დეტალები, სავარძლის ბრინჯაოს მორთულობა, ბრინჯაოს სარკე, მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის ნაწილები.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ახალი პროექტი „აღმოაჩინე მცხეთა განსხვავებული კუთხით!“ დაიწყო. პროექტის მიზანს ქვეყანაში არქეოლოგიური ტურიზმის განვითარება წარმოადგენს. მცხეთა პირველი ქალაქია, სადაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ახალ გეგმას ახორციელებს. პროექტი მოგვიანებით საქართველოს იმ კუთხეებშიც გაგრძელდება, სადაც არქეოლოგიური ძეგლებია. ნიკოლოზ ვაჩეიშვილის უწყების გადაწყვეტილებით, საზოგადოებისთვის უცნობი არქეოლოგიური ძეგლები ყველა ახლადგამოსულ ტურისტულ გზამკვლევარში მოხვდება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო დიაგნოსტიკის – წინასაპროექტო დოკუმენტაციის მომზადების კონკურსი გამოაცხადა. საკონკურსო პირობები: აკურის მამა დავითის ეკლესია, იფარის წმ.გიორგის სახელობის ეკლესია (მოხატულობა), კაწარეთის არქიტექტურული კომპლექსის ეპისკოპოსის სასახლე, მანგლისის ტაძარი (მოხატულობა), საბერეების სამონასტრო კომპლექსი, ვანის ქვაბების გუმბათოვანი ეკლესია, წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია (მოხატულობა), ხაშმის სამების ეკლესია და ზემო კრიხის მთავარანგელოზის ეკლესია (მოხატულობა).

უკვე აღდგენილი და რესტავრირებული ტაძრების პარალელურად, რესტავრატორებმა იკვის წმიდა გიორგის ეკლესიის აღდგენა დაიწყეს, რომელიც შიდა ქართლში, კასპის რაიონში მდებარეობს. წარწერის პალეოგრაფიული და ნაგებობის სტილისტური ანალიზით ეკლესია XI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. ძეგლის სიძველისა და მხატვრული მნიშვნელობის მიუხედავად, იკვის ეკლესია საზოგადოებრივ ყურადღებას მოკლებული იყო. რამდენიმე კვირის განმავლობაში რესტავრატორები პროფესიული სამუშაოს დაწყებამდე, ტაძარს ნაგვისა და ეკალ ბარდებისგან ათავისუფლებდნენ. ტაძარში მიმდინარე აღდგენითი სამუშაოები ნიკოლოზ ვაჩეიშვილმაც მოინახულა. სარეაბილიტაციო პროექტი ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დააფინანსებით ხორციელდება.

– სახელმწიფოს მიერ 2004-2010 წლებში გადაუდებელი აღდგენის უპირატესობით 500-ზე მეტი ძეგლი აღდგა და დაუბრუნდა პირვანდელი სახე. ტყესა და ხეობებში მიტოვებული და განადგურების პირას მყოფი ძეგლების კვლევა და აღდგენა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობს დაცვის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება. 2012 წელს კასპის მუნიციპალიტეტში რამდენიმე ათეული ძეგლის რესტავრაცია უკვე დაგეგმილია, – ნათქვამია კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში.

# ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲔᲤᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲐ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ნიკოლოზ რურუა, მწერლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

როგორც ნაწარმოების პრეზენტაციაზე ითქვა, ამერიკული გამომცემლობა ყოველწლიურად უშვებს საუკეთესო ევროპული ნაწარმოებების კრებულს. დეფის მოთხრობამდე 2011 წელს აღნიშნულ კრებულში შევიდა ქართველი მწერლის ზურაბ ლეჟავას მოთხრობა „მაცივარი სექსისა წილ“. პოეტისა და რომანისტის დავით დეფის მოთხრობა „დასასრულამდე“ 2012 წლის კრებულშია შეტანილი.

ქართველი შემოქმედი უკვე იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც არაერთი შეხვედრა თუ ლიტერატურული საღამო გაიმართა. დავით დეფის ნაწარმოებები ამერიკელმა მსმენელმა დადებითად შეაფასა და მოიწონა.

ლონდონის, სიდნეის, ნიუ იორკისა და ჩიკაგოს ლიტერატურული ჟურნალების წარმომადგენელმა, ლექტორმა დემიენ კელეჰერმა დავით დეფის შემოქმედება შეაფასა და ქართველი შემოქმედი ბორხესის ლიტერატურული სიმაღლისა და ხარისხის გვერდით დააყენა. დეფისთან დაკავშირებით, მან საგანგებო მიმართვაც გაავრცელა.

– როდესაც დევიდ დეფის ნაწარმოებს კითხულობ, რთულია არ გაგახსენდეს ხორხე ლუის ბორხესის – „საიდუმლო სასწაული“. ორივე ნაწარმოებში მოთხრობის პროტაგონისტს სიკვდილით სჯიან, სადაც დრო ჩერდება, როდესაც ტყვიები თოფებს ტოვებენ, თუმცა, ბორხესთან შედარებით დეფისთან დრო ისე დრამატულად არ იყინება, როგორც ნელდება ტემპი. თითქოს ნებას რთავს პროტაგონისტს – უსახელოს, უნდობს, სიკვდილთან მებრძოლს – განსაჯოს საკუთარი სიკვდილი. სიკვდილით დასჯის გარემოება. თავის ნაწარმოებში დეფი, აღწერს რა ტყვიების მოახლოებას, სიკვდილის თემას მოკლე, მძაფრი, მკვეთრი პარაგრაფებით მიმოაბნევს. მისი წინადადებები საოცრად გამომსახველია და თავისუფალი მეტაფორებისა თუ შედარებებისგან.

კულტურის სამინისტროში გამართულ მოთხრობის წარდგენაზე ცნობილი გახდა, რომ ინგლისურენოვან სივრცეში არსებობს სპეციალური ბმული, სადაც განთავსებულია პოეტისა და რომანისტის დავით დეფის სიტყვა, რომელიც ნიუ იორკში, ჩიკაგოსა და ლონდონში დაიბეჭდა, რაც უიშვიათესი შემთხვევაა.

**ნიკოლოზ რურუა, კულტურის მინისტრი:**

– ის, რომ ქართველი მწერლების ნაწარმოებები ასეთ პრესტიჟულ გამოცემაში იბეჭდება, ნამდვილად ქართული კულტურის გამარჯვებაა. პირველი მერცხალი ზურაბ ლეჟავა და მისი მოთხრობა იყო, მას კი დავით დეფი შეენაცვლა. დიდი იმედი მაქვს, რომ მათ რიცხვს მალე სხვა ქართველი მწერლებიც მიემატებიან. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო განაგრძობს ქართველი მწერლების მოთხრობების თარგმნისა და გამოცემის დაფინანსებას აღნიშნულ სერიაში, რითაც ხელს უწყობს ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ ზოგადად უცხოეთში. ეს არ არის ერთჯერადი თანამშრომლობა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აღნიშნულ გამომცემლობასთან ერთად ამზადებს პროექტს „თანამედროვე ქართული ლიტერატურის ანთოლოგია“, რომელიც 2012 წლის გაზაფხულზე ამერიკაში გამოვა. აღნიშნულ ანთოლოგიაში ცხრამეტი ქართველი მწერლის მოთხრობაა გაერთიანებული.

**დავით დეფი, მწერალი:**

– ამ ნაწარმოებში საუბარია ადამიანისა და სიკვდილის წამიერ (გნებავთ უკანასკნელ წამიერ) შეხვედრაზე. ნაწარმოებში მოქმედება სამხედრო ტრიბუნალს უკავშირდება. კედელთან მიყენებულ ჯარისკაცს, რომელიც სიკვდილით უნდა დაისაჯოს. თუმცა სიკვდილთან დიალოგისას ვხედავთ, რომ სიკვდილმისჯილი ჯარისკაცი არც დეზერტირია და არც მოღალატე. აქ ლაპარაკია საბედისწერო შეცდომაზე. ნაწარმოების იდეაც ანტი-საომარია, ანტი-ომის წამიერი გააზრება, რომ ომის დროს ადამიანები პასუხისმგებლობას თვითონ ომსა და სიკვდილს აკისრებენ, ხოლო სიკვდილის მონოლოგიდან კი ვიგებთ, რომ სწორედ ომია საკაცობრიო შეცდომა, რისგანაც თვით სიკვდილიც გადაღლილია. აქ, ჯარი არამც და არამც არაა ქართული ჯარი. ეს უფრო სამხედრო სამყაროსა და ზოგადად ომის, ერთგვარი კრებითი ფორმაა.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

# ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲛᲐ ᲘᲠᲐᲜᲘ ᲒᲐᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐ

თეირანში, ბრიტანეთის საელჩოზე ირანის მთავრობის მიმართ ლოიალურად განწყობილი დემონსტრანტების თავდასხმის შემდეგ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა ირანი „სერიოზული შედეგების“ შესახებ გააფრთხილა.

ლიდან დატოვა.

დიდი ბრიტანეთის საელჩომ ირანში მყოფ თავის მოქალაქეებს ურჩია ქუჩებში არ გამოსულიყვნენ და ყურადღება არ მიეპყროთ.

ირანში ბრიტანეთის საელჩოზე მომხდარი თავდასხმა მრავალმა ქვეყანამ დაგმო. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალენ ჟიუპემ განაცხადა, რომ ირანის რეჟიმმა კვლავაც აჩვენა, რომ საერთაშორისო სამართალს დიდ პატივს არ სცემს. საფრანგეთმა ვენის კონვენციის ეს უხეში დარღვევა დაგმო. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ განაცხადა, რომ ირანში მომხდარი მოვლენებით ღრმად არის შეშფოთებული.




სამშაბათს საღამოს ბრიტანეთის მიერ ირანის მიმართ სანქციების დაწესებით უკმაყოფილო დემონსტრანტები ბრიტანეთის საელჩოს შენობებს თეირანის სხვადასხვა რაიონებში რამდენჯერმე დაესხნენ თავს.

თვითმხილველების თქმით, თავდასხმების მონაწილეებმა შენობიდან ბრიტანეთის დროშა ჩამოხსნეს და ირანისა ააფრიალეს. ირანული ტელეარხებით გავრცელებული კადრების თანახმად, დემონსტრანტებმა საელჩოს შენობას ქვები დაუშინეს, ჩაამსხვრიეს ფანჯრები, ხოლო ერთ-ერთი თავდამსხმელი, სააგენტო ფრანს პრესის ცნობით, საელჩოს შენობის ფანჯრიდან დედოფალ ელისაბედ II-ის მოპარული პორტრეტით გამოძვრა. ირანის პოლიცია საქმეში მაშინვე არ ჩარეულა და თავდამსხმელების დაფანტვა ბრიტანეთის მისიაში შეჭრიდან ორი საათის შემდეგ დაიწყო.

სააგენტო „ფარსის“ ინფორმაციით, დემონსტრანტების გასაფანტად პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

ირანის ნახევრად ოფიციალური სააგენტოს „მეჰრის“ თქმით, საელჩოში შეჭრილი პირები იქ ნაპოვნ დოკუმენტებს წვავდნენ. პერსონალმა მისია მეორე გასასვლელიდან დატოვა.

ბრიტანეთის დიპლომატიურ მისიაზე თავდასხმა დაგმო აგრეთვე ევროკავშირის ხელმძღვანელობამაც.

თეირანში მომხდარი ინციდენტისადმი უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთმაც გამოხატა.

საპროტესტო გამოსვლები ირანში მას შემდეგ დაიწყო, რაც დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებმა ირანთან ფინანსური თანამშრომლობის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღეს.

ეს გადაწყვეტილება ირანის ბირთვული პროგრამით არის განპირობებული.

ბრიტანეთის მხარის მოქმედების სანაცვლოდ ირანმა გაერთიანებულ სამეფოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დონის დაწევის შესახებ გამოაცხადა.

# ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲔᲠᲗ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲐ

ჩინეთის ხელისუფლებმა პროვინციის მოსახლეობისათვის სიღარიბის ახალი ზღვარი გაავლო. ამიერიდან ღარიბად მიიჩნევა ის, ვისი შემოსავალიც დღეში 1 დოლარს, 6.5 იუანს არ აღემატება.

მანამადე სიღარიბის ზღვარი 55 ცენტს შეადგენდა.

შარშანდელი მონაცემების თანახმად, პროვინციებში სიღარიბის ზღვარს მიღმა 27 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

ამ ცვლილების წყალობით მილიონობით ადამიანს სახელმწიფო დახმარების მოთხოვნის შესაძლებლობა მიეცემა. ეს შეღავათები გულისხმობს უფასო პროფესიონალურ კურსებს, შეღავათიან სესხებს.

ჩინეთი მაქსიმალურად მიუახლოვდა მსოფლიო ბანკის მაჩვენებელს, რომლის მიხედვითაც მინიმალური მისაღები ხელფასი 1.25 დოლარს უნდა შეადგენდეს.

ჩინეთის ლიდერმა ჰუ ძინტაომ არაერთხელ განაცხადა, რომ მისი მმართველობის მთავარ მიზანს ჩინეთის სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა და ჰარმონიული საზოგადოების შექმნა წარმოადგენს.

ბოლო წლებში ჩინეთის დასავლეთ პროვინციებში, სადაც სიღარიბე განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული, ინფრასტრუქტურის განვითარების რამდენიმე ფართო პროექტი დაიწყეს. თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ გამოსვლაში ჰუ ძინტაო ჩინელებს დაჰპირდა, რომ 2020 წლისათვის სურსათისა და ტანსაცმლის ნაკლებობას არც ერთი ჩინელი აღარ იგრძნობს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**



## ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

**ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ:** 1. მთავრის უმაღლესი ტიტული ინდოეთში; 2. ყურის ექიმი; 3. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 4. ძლიერმომქმედი ნარკოტიკი; 5. მოხარშული და გადაზელილი ყველი; 10. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 11. სტუმრის მიმღები, დამხვედრი ოჯახი; 12. ერთუჯრედიანი, მიკროსკოპული ორგანიზმი, ბაქტერია; 15. სოხუმის ძველბერძნული სახელწოდება; 16. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 17. პატარა სამკუთხა ალამი; 20. ტყა შუა აზიაში.

**ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ:** 6. სამკურნალო-პროფილაქტიკური დასასვენებელი დაწესებულება კურორტზე; 7. ფიჭიანი თაფლი; 8. აზიის სტეპებში გავრცელებული ანტილოპა; 9. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 13. მადნიდან ლითონის გამოდნობის შემდეგ დარჩენილი ნარჩენები; 14. გარდაბნის ძველი სახელწოდება; 18. მანქანაზე ნაქსოვი ნაწარმი; 19. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 21. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 22. ირლანდიური ლუდი; 23. ქართველ მწერალ ეგნატე ინგოროყვას ფსევდონიმი; 24. სხეულის მოხდენილი, რიტმული მოძრაობის ხელოვნება.

*შეადგინა თეოფინაშვილმა*

## ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

**ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა**

**ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ:** 1. პაციფისტი; 2. ლიგნიტი; 3. თიკანი; 4. ბაფტა; 5. სტურუა; 11. მორიტა; 12. არიასი; 14. ტუბა; 16. ოსასუნა; 17. ფაჩულია; 19. ბერლინი; 21. აბატი; 22. პაქტი.

**ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ:** 6. მარტვილი; 7. კრამიტი; 8. ტავრო; 9. ოფორტი; 10. ნორმა; 13. შტატი; 15. ვოლტიჟიორი; 18. საქსები; 20. ალია; 21. არეუნა; 23. ნაცარქექია; 24. იდიოტი.

**ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ**

**ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ:** 1. მიკიტანი; 2. ქრონიკა; 3. ოდესა; 4. თეირანი; 5. კუმურდო; 10. მაკოზარი; 11. მენეჯმენტი; 12. ქსილიტი; 15. დეტექტივი; 16. სტინგი; 17. კუპიურა; 20. ოპელი.

**ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ:** 6. ნიკორწმინდა; 7. შერბური; 8. გვარდია; 9. პარიკი; 13. ნოხა; 14. მელასა; 18. ალბატროსი; 19. ბუნგი; 21. შპაგი; 22. დისნეი; 23. პანტომიმა; 24. კრისტინე.

# ვენა საუკეთესო საცხოვრებელ ქალაქად დაასახელეს

შესანიშნავი ინფრასტრუქტურის, ქუჩაში უსაფრთხოების და ჯანდაცვაში ხარისხიანი მომსახურეობის წყალობით, ვენა ცხოვრებისთვის საუკეთესო ქალაქად დასახელეს. ამას კონსალტინგური ჯგუფის, „მერკერის“ კვლევის შედეგები ადასტურებს.

200 პოზიციისგან შემდგარ რეიტინგში, საუკეთესო ადგილები გერმანულმა და შვეიცარიულმა ქალაქებმა დაიკავეს, ხოლო ტოპ10-ეულში მოხვდნენ ციურიხი, მიუნჰენი, დიუსელდორფი, მაინის ფრანკფურტი, ჟენევა და ბერნი.

მათ გარდა, ათეულში მოხვდნენ ოკლენდი (ახალი ზელანდია), კანადის ვანკუვერი და დანიური კოპენჰაგენი.

ამავე დროს „მერკერი“ გამოდის გაფრთხილებით, რომ რეიტინგში მაღალ საფეხურზე მდგომმა ქალაქებმა საკუთარი პოზიციები განსაკუთრებულად არ უნდა მიიღონ, რადგან მსოფლიო ეკონომიკური პრობლემების გათვალისწინებით, ცხოვრების დონის შემცირებისგან დაცულნი არ არიან.

კერძოდ, ოსლო მასობრივი მკვლელობების გამო 24-ე ადგილზე დაეშვა. საუბარია ივლისში ანდერს ბრეივიკს მიერ ჩადენილ სასტიკ დანაშაულზე. ეს რომ არ მომხდარიყო, ნორვეგიის დედაქალაქი 15 საუკეთესოში მაინც მოხვდებოდა.

საუკეთესი ქალაქების ოცეულში მოხვდნენ ავსტრალიური სიდნეი, ველინგტონი, მელბურნი და პერტი.

სინგაპურმა 25-ე პოზიცია დაიკავა.

ცხოვრების და უსაფრთხოების პირობების გათვალისწინებით, ყველაზე უარესად ერაყის ბაღდადი აღიარეს. ამის მიზეზი პოლიტიკური გაურკვევლობა, უსაფრთხოების დაბალი დონე და ადგილობრივებზე და უცხოელებზე ხშირი თავდასხმებია.

პოლიტიკური უწესრიგობების და ეკონომიკური პრობლემების გამი, აფრიკის და ახლო აღმოსავლეთის ქალაქები ასევე ადგილებს სიის ბოლოში იკავებენ.



— ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად დაეცა ისეთ ქვეყნებშიც, როგორებიც არიან ლიბია, ევიპტე, ტუნისი და იემენი, — წერენ კვლევის ავტორები.

ცნობისთვის, ვენა — ავსტრიის დედაქალაქი და ასევე ავსტრიის ცხრა შტატიდან ერთ-ერთია. 1,6 მილიონი მოსახლეობით (2,2 მილ. აგლომერაციაში).

ვენა ავსტრიის უდიდესი ქალაქია, ისევე როგორც მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი. არის ევროპის კავშირის სიდიდით მეათე ქალაქი.

ვენაში აქვს შტაბ-ბინა რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციას, მათ შორის: გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია, ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია და საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტო.

ქალაქი მდინარე დუნაის ორივე სანაპიროზე მდებარეობს და მხოლოდ 60 კმ-შია ავსტრიის აღმოსავლეთის საზღვართან. ვენა ცენტრალური ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარეობს, ძალიან ახლოს ჩეხეთთან, სლოვაკეთთან და უნგრეთთან.

ვენა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ქალაქია და საკუთარი ხანგრძლივი და მდიდარი ისტორიით დამსახურებულად უჭირავს დასავლეთის ცივილიზაციასა და მსოფლიო კულტურაში განსაკუთრებული ადგილი.

საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა საღვთო რომის იმპერიის ცენტრს, საიმპერატორო დედაქალაქსა და ჰაბსბურგების რეზიდენციას.

ამ დროიდან იგი განვითარდა, როგორც ევროპის კულტურული და პოლიტიკური ცენტრი.

ვენა მეოთხე ქალაქი იყო ლონდონის, ნიუ იორკისა და პარიზის შემდეგ, რომლის მოსახლეობაც ორ მილიონს ითვლიდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ვენამ თავისი მოსახლეობის თითქმის მეოთხედი დაკარგა.

ქალაქის ძველი ცენტრალური ნაწილი, რომელიც ჰაბსბურგების დინასტიამდეც არსებობდა, ასევე შენბრუნის სასახლე ავსტრიის რესპუბლიკის მოთხოვნით შეტანილ იქნა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

# აიშა კადაფი მამის გამო სამაგიეროს გადახდას აპირებს

ლიბიის ჯამაჰირიის ყოფილი ლიდერის ერთადერთი ქალიშვილი აიშა კადაფი თანამემამულეებს გარდამავალი ნაციონალური საბჭოს მთავრობის დამხობისკენ მოუწოდებს.

„ჩრდილოეთ აფრიკის კლაუდია შიფერი“ (როგორც მას დასავლური მედია მოიხსენიებს) მამის დასაცავად ადრეც აქტიურად გამოდიოდა. ახლა კი, ალჟირშიპოლიტიკურითავშესაფრის დაკარგვით რისკავს, რომლის ხელისუფლებასაც დაპირდა, რომ საჯარო გამოსვლებს არ გააკეთებდა.



თუმცა, სირიის ტელევიზიამ აიშა კადაფის აუდიომიმართვა გაავრცელა, რომელიც მან მამაზე ორმოცდღიანი გლოვის შემდეგ გააკეთა.

აიშა კადაფი მამის ხელისუფლების დასაცავად თანატომელებს ადრეც მიმართავდა. მაგრამ ადრე ამას სახალხოდ აკეთებდა.

მაგალითად, მარტის ბოლოს ტრიპოლის ქუჩებში ჯამაჰირიის მწვანე დროშით ავტომობილზე ამხედრებული გამოჩნდა, მან ადამიანების ბრბო შემოიკრიბა და ბრძოლისკენ მოუწოდა.

მოგვიანებით 25 აპრილს, ლიბიაში ნატოს სამხედრო ოპერაციის წლისთავზე, როდესაც მისი ნახევარდა დაიღუპა, აიშა კადაფიმ ტრიპოლის მაცხოვრებლებს ქალაქის ცენტრალური მოედნიდან მიმართა. მან თანამემამულეებს შეახსენა, რომ მისი დიდი ბაბუა ჯერ კიდევ 1911 წელს, იტალიური თვითმფრინავების თავდასხმის შედეგად დაიღუპა.

— ახლა მამაჩემის მოკვლა სურთ! ღმერთო შეაჩვენე ისინი!, — განაცხადა აიშა კადაფიმ.

დღესდღეობით ექსლიდერის ქალიშვილს, რომელიც 29 აგვისტოდან ალჟირში იმყოფება, თანამემამულეებისთვის ღია მიმართა აღარ შეუძლია.

— მამაჩემი არ წასულა, ის ჩვენს შორის სამუდამოდ დარჩება. არ დაივიწყოთ მისი მოწოდებები ბრძოლისკენ, დაე აღარ გესმოდეთ მისი ხმა, — განაცხადა აიშა კადაფიმ.

ამასთან, ლიბიის ახალ ხელისუფლებას „ნატოს თვითმფრინავებით მოსული“ უწოდა.

შესაძლოა ამ ბოლო გამოსვლისთვის კადაფის ქალიშვილის ლიბიაში ექსტრადაცია მოახდინონ, სადაც მას, ალბათ, გასამართლებენ; რაც უახლოეს მომავალში მის ძმასთან, სეიფ ალ-ისლამთან მიმართებაში მოხდება. ლიბიის ხელისუფლებამ სურვილი გამოთქვა, რომ „კადაფის კლანის“ ყველა წევრი სამშობლოში იხილოს, თუმცა ალჟირმა ოქტომბრის ბოლოში მათ ექსტრადაციაზე უარი თქვა. როგორც მაშინ ალჟირის ხელისუფლებამ განაცხადა, მთელი მსოფლიო უყურებდა, როგორ სასტიკად მოკლეს მუამარ კადაფი.

# დაბრმავებული მატადორი არენას ისევ დაუბრუნდება

ცნობილმა ესპანელმა მატადორმა, ხუან-ხოსე პადილიამ პირობა დადო, რომ „შეუძლებელს“ შეძლებს და არენას დაუბრუნდება. ის ერთი თვალით დაბრმავდა მას შემდეგ, რაც გამხეცებულმა ხარმა რქები პირდაპირ თავში ჩაასო.

ხუან-ხოსე პადილია, ხარმა სარაგოსაში კორიდის დროს მძიმედ დაჭრა. ტრაგედია მოხდა მას შემდეგ, რაც 38 წლის ტორერო წაბარბაცდა და ქვიშაზე წაიქცა.

გამხეცებული ხარი უმალ ეცა და რქები პირდაპირ თავში აჯახა. შედეგად მატადორმა უმძიმესი ტრავმა მიიღო, ცხოველის რქებმა ყურის ცოტა ქვმოთ ნიკაპთან გაიარა და მარცხენა თვალის გავლით გამოვიდა.

პადილია არენიდან სამედიცინო ურიკით გაიყვანეს. სახე ხელებით დაფარული ჰქონდა და ღრიალებდა: „მე ვერაფერს ვხედავ!“ ვინც სტადიონზე იყო ყველანი თვლიდნენ, რომ ასეთი ჭრილობით მატადორი მოკვდებოდა.

ექიმებმა მას სიცოცხლე შეუნარჩუნეს. ოპერაცია ხუთ საათზე მეტხანს გრძელდებოდა. პადილიას სახის მარცხენა მხარე გაეთიშა.

უკვე სამშაბათს პადილიამ განაცხადა, რომ არ სურს ფანატები მის მიმართ შეცოდებას განიცდიდნენ.

— მატადორის კოსტიუმში ბრძოლას გავაგრძელებ, რადგან ეს ჩემი ოცნებაა — კვლავ შევხვდე ფანატებს, — უთხრა მან ჟურნალისტებს საავადმყოფოდან გამოწერის წინ.

პადილიას ხანგრძლივი რეაბილიტაციის გავლა მოუწევს, რომელსაც ორ კვირაში სპეციალიზებულ ცენტრში დაიწყებს. ექიმები იმედოვნებენ, რომ მისი სახის მოძრაობის 80%-ს აღადგენენ.

ხერესის 38 წლის მაცხოვრებელი ერთ-ერთ საუკეთესი ესპანელ მატადორად ითვლება. ადრე მან კორიდის დროს სერიოზული ჭრილობა ჰქონდა მიღებული. 2001 წელს მან პამპლონას შოუზე კისრის სერიოზული ტრავმა მიიღო.

მატადორები ტრავმებს საკმაოდ ხშირად იღებენ, სასიკვდილო შემთხვევები ნაკლებადაა. ბოლოს ხარმა ესპანეთში მატადორი 1985 წელს მოკლა.

თუმცა, „ცვლილებათა ქარიშხალში“ ეს ძველი ესპანური ტრადიციაც მოჰყვა. კორიდა ისე პოპულარული აღარ არის ესპანელებს შორის, კატალონიაში კი ის საერთოდ აკრძალეს.

კატალონია პირველი რეგიონია ესპანეთში, სადაც 2012 წლის შემდეგ კორიდა აღარ გაიმართება. ამ დღესასწაულის გაუქმების ინიციატორი გახლდათ ერთ-ერთი ასოციაცია, რომელიც ცხოველთა უფლებებს იცავს.

კორიდის შენარჩუნების მომხრეებს თავისი არგუმენტები აქვთ: მათი მტკიცებით, ხარის დაკვლა უფრო დიდი საშინელებაა, ვიდრე მისი ღირსეული სიკვდილი ადამიანთან ორთაბრძოლაში და რომ ესპანელების მთელი თაობები იზრდებოდნენ მამაცი მატადორების მაგალითზე.



არსებობს სხვა, უფრო პრაგმატული მოსაზრებაც: სპეციალისტებმა დათვალეს, რომ კორიდის აკრძალვის შედეგად თითოეული კატალონიელი საშუალოდ 60 ევროთი გაღარიბდება, რადგან ამ დღესასწაულის საყურებლად ყოველწლიურად ათასობით ტურისტი ჩადის.

ისინი ბილეთებსა და სუვენირებში მილიონობით ევროს იხდიან.

სხვათა შორის, ამ საკითხის გამო ცხარე დებატები გაიმართა ადგილობრივ პარლამენტშიც, სადაც ბოლოს ხმათა უმრავლესობით კორიდის მოწინააღმდეგეებმა გაიმარჯვეს.

სანამ ამ გადაწყვეტილებამდე მივიდოდნენ, კატალონიის პარლამენტში შევიდა პეტიცია, რომელსაც 180 ათასამდე კაცი აწერდა ხელს. მათი აზრით, კორიდა ნამდვილი ბარბაროსობაა, რომელიც ძირითადად ტურისტებშია პოპულარული.

კორიდის მომხრენი კი შიშობენ, რომ გაქრება უძველესი ტრადიცია, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო.

ესპანელებს ყოველთვის შეეძლოთ მონაწილეობის მიღება ამ მკაცრ, მაგრამ საინტერესო სანახაობაში, იქ ეს ტრადიცია ოდითგანვე მიღებული და პოპულარული იყო.

არცთუ უსაფუძვლოა შიში, რომ კატალონიას სხვა რეგიონებიც მიბაძავენ და კორიდა აღარ იარსებებს, რაც საბოლოოდ, ზარალს მიაყენებს ესპანურ კულტურასა და ტრადიციებს.

ძნელია გარკვევა ვინ რას ფიქრობს კორიდის აკრძალვაზე, მაგრამ არსებობს სამწუხარო სტატისტიკა: ყოველწლიურად ესპანეთში, საფრანგეთსა და პორტუგალიაში 6 ათასამდე კორიდა ტარდება, სადაც დაახლოებით 30 ათასი ხარი (!) და 3-5 ათასი ცხენი იღუპება.

მე-19-20-ე საუკუნეების განმავლობაში კორიდის მიმდინარეობისას დაიღუპა 63 მატადორი და 350-მდე დამხმარე.

კორიდის მონაწილეები ხშირად ღებულობენ სერიოზულ ჭრილობებს, რაც ამ სანახაობისათვის ჩვეულებრივ ამბად ითვლება. ამიტომაც, კატალონიელების მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავსებით ლოგიკური და ბუნებრივი ჩანს. საინტერესოა, მიბაძავენ თუ არა მათ ესპანეთის სხვა რეგიონების მკვიდრნი?

ცნობისთვის, კორიდა (ესპ. კორრიდა დე ტოროს) — ხარების ბრძოლის ყველაზე გავრცელებული ფორმა. დამახასიათებელია ესპანეთისათვის. თავდაპირველად კორიდა იმართებოდა ქალაქის სწორკუთხა მოედნებზე, XVIII საუკუნეში კორიდის კანონების ჩამოყალიბების შემდეგ იგი იმართებოდა უკვე წრიულ მოედნებზე.

საქართველოში ცობილი იყო კურულის სახელწოდებით. 2011 წელს კატალონიაში კორიდას ჩატარება აიკრძალა.

*მოამზადა გვრა მამულაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე გიგლა არაბული, შვილი ნანუკა არაბული, სიძე სოსო მანჭარაული, შვილიშვილი ლუკა მანჭარაული იუწყებიან

**თამრიკო გოგოჭური-არაბულის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 1, 2 დეკემბერს, 17 საათზე, ქ.თბილისი, დელისის ქუჩა №48.

გამოსვენება: 3 დეკემბერს, 14 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს (ველოტრეკთან) წმინდა ნინოს ეკლესიიდან.

ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თანაგრძნობას უცხადებენ დათო წაქაძეს ბებიის

**თინათინ ფიცხელაურის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 1 დეკემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ევროპული არჩევანი **13.50** აღმოაჩინე საქართველო **14.30** დოკ. ფილმი "რჩევები ახალგაზრდა რეჟისორებს" **15.00** სერ. **"მეორე შანსი"** **17.00** პირველი ტელევიზია **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი"** **21.00** დოკ. ციკლი "ოკუპაცია" **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.00** სი ბემოლი **01.20** საფარი **01.50** მხ. ფილმი **"უძლური ცეცხლი"** (18) (ა. ჯოლი) **03.40** მხ. ფილმი **"ოლივერი"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"მხსნელი"** **01.00** მხ. ფილმი **"ზოგი რამ ჰენრის შესახებ"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ჯეოსტარის კონცერტი (გან.) **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **22.00** პროფილი **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.25** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **19.05** სერ. **"ბედისწერის ძალა"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში 2"** **00.00** ავტობიოგრაფია **00.40** რემონტი **01.30** მხ. ფილმი **"ცეცხლოვანი ველი"** (15) (შ. ტერონი) (სუბტ.) **03.40** მხ. ფილმი **"უცხოპლანეტელი 3"** (ს. უივერი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"20000 ლიე წყალქვეშ"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** პულსი **16.00** დოკ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა (გან.) **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** სერ. **"ექიმი ქმორი"** **10.00** დოკ. ფილმი **10.40** სცენა **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.10** სერ. **12.50, 19.35** სერ. **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** პერსპექტივა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"გაზაფხული საკენში"** **13.30** კონცერტი — ს. ბარტოლი **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი **"ენი მწვანესახურავების მამულიდან"** **16.15** დოკ. ფილმი "სტადიონი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** წარმატების ფორმულა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი **"ალყა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გამოყენებითი ხელოვნება **21.35** აქტუალური თემა **22.25** დოკ. ფილმი "უკვდავი სული" (ილია ჭავჭავაძე) **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმის გაგრძელება **23.30** მოკ. ფილმი **"წყრომა"** **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ. ფილმი **"ბიმბოს ტომი"**

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**1 დეკემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6613 |
| ევრო | 2,2702 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7208 |
| რუსული რუბლი | 0,057 |

__აღმოსავლეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით —3-7, ღამით — -5 -3

__დასავლეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 5-10, ღამით — -4 -2

__სამხრეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -4-4, ღამით — -15 -3

## ამინდის პროგნოზი 1 დეკემბრისთვის








# 30 ნოემბრიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

## პირველი ტომი - ტირანები

ისტორიის 100 ყველაზე სასტიკი დესპოტი და დიქტატორი

გამოსაცემად მზადდება:

- 100 გამოჩენილი მხედართმთავარი
- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- კანიბალიზმის ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები – იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## ასტროპროგნოზი 1 დეკემბრისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

__ეს დღე მშვიდად ჩაივლის__

**ვერძი** — ის საქმე აკეთეთ, რაც დიდ ენერგიას არ მოითხოვს. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ გადაიღალოთ, დღეს არ ღირს. **კირჩხიბი** — რაღაცას ნანობთ, მაგრამ ბრალი თქვენ მიგიძღვით. **ლომი** — ახალი პროექტი გაამართლებს, კმაყოფილი დარჩებით. **ქალწული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე — მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** — გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის რაღაც ჩამოაქვს. **მორიელი** — ყურადღების ცენტრში ხართ, საქმესაც კარგად უძღვებით. **მშვილდოსანი** — თავს შეზღუდულად გრძნობთ, მალე გათავისუფლდებით. **თხის რქა** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მერწყული** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თევზები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კულტურის დაქვეითება, დაცემა; 2. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 3. ბასკეთის მთავარი ქალაქი; 4. ბუღალტერიაში სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის; 5. ვირგილიუსის ეპიკური პოემა; 11. აეროპორტი მილანში; 12. ნოტიო, თიხნარი ნიადაგის ქართული სახელწოდება; 14. ტბა იტალიის ჩრდილოეთში; 16. მესაქონლეობის მსხვილი ფერმის მფლობელი ლათინურ ამერიკაში; 17. პროდუქციის, საქონლის შეტანის ან გაზიდვის აკრძალვა სახელმწიფოში; 19. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 21. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 22. ორელექროდიანი ელექტრო-ვაკუუმური ნათურა.

**თარაზულად:** 6. ჩინური ფაიფური; 7. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. სახელმწიფო ევროპაში; 9. ნელი, ლირიკული ცეკვა ბალეტში; 10. საშობალ სიმღერა; 13. წლოვანება ანუ ...; 15. ისტორიული მოედანი ლინდონში; 18. გეოდეზიური საველი სახაზავი მაგიდა; 20. აფრიკული უკუდო მაიმუნი; 21. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი; 23. ურთიერთდათმობით მიღწეული გადაწყვეტილება; 24. ძველი ფრანგული ტომი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




# როჯერ ფედერერი: „მახარებს, ივან ლენდლსა და პიტ სამპრასს რომ მადარებენ“



როჯერ ფედერერმა სეზონი მაჟორულ ნოტაზე რომ დაასრულა და წლის შემაჯამებელი ტურნირი მოიგო, უკვე გწერდით. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ამით შვეიცარიელმა ერთგვარი რეკორდიც დაამყარა — ითამაშა მეასე ფინალი, რომელთაგან 70 მოიგო. ახლა პლანეტის ყველაზე ტიტულოვან ჩოგბურთელს კიდევ ერთი მიზანი აქვს, კარიერის დარჩენილ ნაწილში კიდევ ერთი დიდი სლემის ტურნირი მოიგოს. თუმცა, ის უკვე ამ რეკორდსაც ფლობს.

— ორივე სარეკორდო მიღწევით ვამაყობ. ისიც მახარებს, ივან ლენდლსა და პიტ სამპრასს რომ მადარებენ, თუმცა, ვთვლი, რომ მათთვის ჯერ არ მიჯობნია. ორივე მათგანმა უდიდესი წვლილი შეიტანა ჩოგბურთის განვითარების საქმეში. ხშირად წარსულის ვარსკვლავები უსამართლოდ არიან მივიწყებულები, ამიტომ მახარებს, ლენდლისა და სამპრასის გვარები კვლავინდებურად აქტუალური რომაა. ჩემ რეკორდებს რაც შეეხება, მხოლოდ მე ვუწყი, როგორი დაუღალავი შრომის ფასადაა მოპოვებული თითოეული ტიტული.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## იუმორი



— მფრინავ ხალიჩას საწვავის სახით მარიხუანა მოჰყვება, მაგრამ გაფრენისათვის იგი ხალიჩის მფლობელმა უნდა გააბოლოს...

***

— თუ შეგიძლია, ცოტა ფული მასესხე.

— გუშინ არ აიღე ხელფასი?

— იცი, სეილზე ისეთი ლამაზი ფეხსაცმელი ვნახე, რომ ვერ მოვითმინე და ვიყიდე. მერე ვიფიქრე, რასთან უნდა ჩავიცვა-მეთქი და ხელჩანთისა და ხელთათმანების ყიდვაც მომიხდა.

— გასაგებია. ახლა იმაზე ფიქრობ, ხელფასამდე როგორ მივატანო თქო...

— არა, ვინ ჩივის, შარფზე მაკლდება ფული...

***

— მამაკაცის მთავარი ორგანო საფულეა...

***

— სამყარო ოპტიმისტებს ეკუთვნით, პესიმისტები მხოლოდ მაყურებლები არიან...

***

— მამაკაცებს ცოლად ლამაზი ქალები მოჰყავთ, განქორწინებით კი სულელებს შორდებიან...

**გ. თ.**

# დავით დეფის მოთხრობა საუკეთესოა

**ეკა ირემაშვილი**

ქართველმა მწერალმა და რომანისტმა დავით (დეფი) გოგიბედაშვილმა, რომელმაც საკუთარ გვარზე უარი თქვა და ამიერიდან უბრალოდ დავით დეფია, თავისი მოთხრობის „დასასრულამდე“ თბილისური პრემიერა მოაწყო. ნაწარმოების პრეზენტაცია საქართველოს



კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შედგა, რომელიც 2012 წლის საუკეთესო ევროპული ნაწარმოებების კრებულში შევიდა. მოთხრობის წარდგენაზე ის კრებულიც გააცნეს საზოგადოებას, რომელიც ქართველი შემოქმედის მოთხრობა შევიდა. პრეზენტაციას პოეტი და რომანისტი დავით დეფი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

გაგრძელება მე-10 გვერდზე